ოქტომბრის კურსით — გარდაქმნის კურსით

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — Союз Советских Социалистических Республик

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 257 (19998) პარასკევი, 6 ნოემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.



თბილისი. 1987 წლის 5 ნოემბერი. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა.

Ფ. კრიმსკის ფოტო („კომუნისტი").

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

ოქტომბრით შობილი საბჭოთა საქართველო ოპტიმიზმით შესცქერის მომავალს. რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, რომლებიც გულით გრძნობენ რევოლუციის იდეალების მემკვიდრეობითობას, რევოლუციურად მიაბიჯებენ, ოქტომბრით ამოწმებენ თავიანთ დღეგანდელ საქმეებსა და საზრუნავს. მოპოვებული წარმატებებისათვის სიამაყის გრძნობით, აწმყოსა და მომავლისათვის უდიდესი პასუხისმგებლობით აღიქვეს მათ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსკოვის საზეიმო სხდომაზე. განვლილი გზის შედეგებისა და გაკეთილების, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, რომელსაც იგი შეიცავს, წარმოაჩენს ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში იმ ცვლილებების კურსს, რომლებიც დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა, დაამკვიდრა პარტიის XXVII ყრილობის გადწყვეტილებებმა და განაგრძეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა.

დიდი ოქტომბრის სამოცდაათი წლისთავს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც 5 ნოემბერს გაიმართა თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში. აქ შეიკრიბნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელებისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და საზღვაო ოლქების მეომართა წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. გლურჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, გ. ს. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სარაძე,** ძველი ბოლშევიკები, დიდი სამამულო ომის გმირები და წარმოების მეწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

აქვეა დელეგაცია ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კაპისის პროვინციისა, რომელთანაც საქართველოს დამყარებული აქვს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. **ჯ. გილაშვილმა.**

— დღეს აქ შევიკრიბეთ, თქვა მან, რათა ზეიმით აღვნიშნოთ საბჭოთა ადამიანებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიადი დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი. საბჭოთა ადამიანები ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ჩვენი პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი ეგებებიან.

ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მოხსენებამ, რომელიც მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილ მოსკოვის საზეიმო სხდომაზე. მოხსენებას რომ ვუსმენდით, თითქოს თვალნათლივ დავინახეთ და, კიდევ ერთხელ განვიცადეთ ქვეყნის მიერ განვლილი ისტორიული გზა. თვალწინ წარმოგვიდგა იმათი სახეები, ვისაც რევოლუციისა და სოციალიზმის პირველმკვალავებს უწოდებენ. გავიხსენეთ პირველი ხუთწლედების ენთუზიასტები და ისინი, ვინც იბრძოდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დიდი სამამულო ომის წლებში. ჩვენ წინ ჩაიარა ომისშემდგომი ხუთწლედების დამკვრელთა არმიამ, რომელმაც უმაგალითოდ მოკლე დროში აღადგინა ომით დანგრეული ქვეყნის სახალხო მეურნეობა.

ამ დარბაზში იმყოფებიან საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის წარმომადგენლები, რომლებიც აშენებდნენ ახალ ცხოვრებას.

გულითადად მივესალმებით ყველას, ვინც განაგრძობს ოქტომბრის გმირების საქმეებს, წყვეტს ჩვენი ქვეყნის რეგოლუციური გარდაქმნის ამოცანებს.

ამ საზეიმო ჟამს ჩვენს გრძნობებსა და ფიქრებში იკვეთება ვ. ი. ლენინის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამაარსებლის მარად ცოცხალი და ნათელი სახე.

დიდმა ოქტომბერმა, რომელმაც შექმნა მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის ეპოქა, დასაბამი მისცა ქართველი ხალხის ბედის ძირეულ შემობრუნებას, მას, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, მოუტანა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლება.

დიდი ოქტომბრის სულისკვეთების ერთგული ჩვენი ლენინური პარტია ახორციელებს ღრმა რევოლუციურ გარდაქმნას, სათავეში უდგას მთელი საზოგადოების განახლების მძლავრ პროცესს.

პარტიასა და ხალხს დიადი ამოცანები აქვთ. სკკპ XXVII ყრილობის, მისი ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულება უზრუნველყოფს კომუნისტურ აღმშენებლობაში ჩვენი ქვეყნის ახალ წარმატებებს.

განვამტკიცოთ პარტიისა და ხალხის ერთიანობა, მტკიცედ მივსდიოთ დიდი ლენინის ანდერძს — ეს არის ჩვენი მომავალი გამარჯვებების საწინდარი.

* * *

მოხსენება „დიდი ოქტომბერი გრძელდება დღეს ჩვენს საქმეებში" გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.** მან თქვა:

ძვირფასნო ამხანაგებო!

პატივცემულო სტუმრებო!

რამდენიმე დღეც და, ჩამოკრავს ჩვენი რევოლუციური ისტორიის საათი: 70!

დიდი ოქტომბრის 70 წელი.

სამი დღის წინათ კი კრემლის კურანტებმა — ქვეყნის მთავარმა საათმა მთავარი მოედნიდან გვაუწყა, რომ მოსკოვში, ყრილობათა სასახლეში, გაიხსნა ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავი საზეიმო სხდომა.

ერთიც და მეორეც დიადი მიღწევების დროის მაჩვენებლებია: დღევანდელი ცვლილებები ოქტომბრის რევოლუციის გაგრძელებელია.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

პარტიათა და მოძრაობათა წარმომადგენლების შეხვედრა

5 ნოემბერს შეხვედრაზე გაგრძელდა აზრთა გაზიარება თანამედროვეობის აქტუალური საკითხების შესახებ.

გამოვიდნენ იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრი ჯ. ნაპოლიტანო, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. ჯანიბული, დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი ს. ქრისტენსენი, შვეიცარიის შრომის პარტიის გენერალური მდივანი ქ. შპილმანი, ნამიბიის სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის პრეზიდენტი ს. ნუიომა, სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი ბიუროს წევრი გ. პაპანდრეუ, იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მუდმივი ბიუროს წევრი ჰ. ტატიკი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. ბატმუნხი, ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალური მდივანი გ. ჰოლი, საპარლამენტთაშორისო ჯგუფის თავმჯდომარე, რიქსდაგის დეპუტატი. შვეიცარის სოციალ-დემოკრატიული შუშათა პარტიისაგან ნ. ერიქსონი, ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ჰ. მარიამი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი პაკ სენ ჩერი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კრუნიჩი, იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრი ლ. ფინკატო, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ფ. კასტრო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „მწვანეთა" პარტიის თანათავმჯდომარე ი. დიტფურტი, ანგოლის მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარე ჟ. ე. დოს სანტუში, პორტუგალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ა. კუნიალი, ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნგუენ ვან ლინი, ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ვილნერი, ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე პ. პაასიო, სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პრეზიდენტი ო. ტამბო, ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი რ. არისმენდი, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საერთაშორისო საკითხთა მდივანი ლ. ლე პანსეკი, ესპანეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ხ. იგლესიასი, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალური მდივანი ე. პაპაიოანუ, ფინეთის ცენტრის პარტიის გენერალური მდივანი ს. კიიარიაინენი, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ჰ. შმიტი, ბრაზილიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ს. მალინა, ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს მდივანი მ. ფარუკი, დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალური მდივანი გ. მაკლენანი, ნიდერლანდის შრომის პარტიის მდივანი ვ. ვან ველზენი, ლაოსის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი კ. ფომვიხანი, მექსიკის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრი პ. გომესი, სოციალისტური სახალხო ლიბიის არაბთა ჯამაჰირიის საყოველთაო-სახალხო კონგრესის ხელმძღვანელობის წევრი ა. ი. ჯაბერი.

შეხვედრის დამთავრებასა **მ. ს. გორბაჩოვმა** თქვა:

ამხანაგებო! ჩვენ გამთავრებთ შეხვედრის მეორე დღის საღამოს სხდომას.

მინდა გაგაცნოთ სიტუაცია, რომელიც ეხება ჩვენს მუშაობას. შეხვედრაზე არის 178 დელეგაცია. გამოსვლებისათვის ჩაეწერნენ 119 პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები. ორი დღის განმავლობაში გამოვიდა 63 კაცი. ასეთია ობიექტური სიტუაცია.

ჩვენ წინაშე ორი შესაძლებლობაა:

პირველი. ვფიქრობ, იგი ყველაზე რეალისტურია — დავამთავროთ შეხვედრა დღეს და ვთხოვოთ ამხანაგებს, ვისაც სურდა გამოსვლა და ვერ შეძლო შეზღუდული დროის გამო, თავიანთი გამოსვლების ტექსტები გამოსაქვეყნებლად გადასცენ გაზეთ „პრავდას", ესე იგი გამოსულთა თანაბრად.

მეორე შესაძლებლობა — ხვალ მოვაწყოთ კიდევ ერთი, დილის სხდომა, მაგრამ, როგორც ხედავთ, იგი მაინც ვერ გადაჭრის პრობლემებს.

მოდით განვსაჯოთ.

(მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პირველ ვარიანტს).

ძვირფასო ამხანაგებო, როგორც შევთანხმდით დემოკრატიულად, ვამთავრებთ ჩვენს შეხვედრას.

მე არ ვარ უფლებამოსილი გამოვიტანო დასკვნა, შევაჯამო შეხვედრის შედეგები. ვფიქრობ, ამას ვერ შეძლებს ვერავინ, ვინც უნდა მოჰკიდოს ხელი. მაგრამ, რადგან დამავალეთ თავმჯდომარეობა და შეხვედრაც როგორმე უნდა დავამთავროთ, ნება მიბოძეთ გამოვთქვა მხოლოდ თავმჯდომარის ზოგიერთი შთაბეჭდილება.

მე ჩვენს შეხვედრას შევხედავდი თანამედროვე საერთაშორისო სიტუაციის კონტექსტით, რომელსაც ახასიათებს — და ეს დაადასტურა კიდეც ჩვენი ორი დღის აზრთა გაზიარებამ — ყოველ შემთხვევაში **ორი ყველაზე არსებითი მომენტი.**

ჯერ ერთი, ჩვენ ყველანი ერთი აზრისანი ვართ იმის შესახებ, რომ თანამედროვე მსოფლიო წააწყდა ისეთი მასშტაბის პრობლემებს, როგორსაც აქამდე არ წაწყდომია. ეს ახალი რეალობანია, რომლებსაც უნდა ვხედავდეთ.

მეორე, ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ იმისა, რომ მსოფლიოში იზრდება შეშფოთება მსოფლიოს ბედის, ცივილიზაციის ბედის გამო, შეშფოთება იმ პრობლემების გამწვავებასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მილიონობით ადამიანს.

და ამ შეშფოთებამ მთელ მსოფლიოში აამოძრავა მშრომელთა ფართო მასები.

როგორც ჩანს, სწორი იქნება დღეს იმის აღნიშვნა — და ეს პოლიტიკურად მნიშვნელოვანი აღნიშვნაა, — რომ თვით ისტორიის ავანსცენაზე მილიონობით ხალხთა მასები გამოვიდა.

სავსებით გასაგებია, რომ ეს ღრმად აისახა პოლიტიკურ მიმდინარეობებში და, კერძოდ, მან სერიოზული გამოძახილი პოვა უწინარეს ყოვლისა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში, პროგრესულ მოძრაობებში. ჩვენ თითქოს ყველამ ვიგრძენით, რომ საჭიროა ერთობლივი ფიქრიც, და თანამოქმედებაც. ამან მოგვიყვანა ამ შეხვედრაზე.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არსებითად თანამედროვე ეპოქის ხასიათმა და მოვლენათა მიმდინარეობამ დაგვაკისრა ყველას უზარმაზარი პასუხისმგებლობა მსოფლიოსა და კაცობრიობის სვებედისათვის. სწორედ ეს გარემოებაა, როგორც მესახება, ჩვენი ამ უნიკალური შეხვედრის ის ობიექტური წანამძღვარი, რომელიც თვისთავად მოწმობს, რომ ახალი დრო დაგვიდგა.

ჩემი აზრით, — და ეს უკვე ბევრმა თქვა, — ამ შეხვედრაზე შეკრებით გადავდგით ნაბიჯი, რომელიც მოწმობს, რომ შეგნებული გვაქვს პასუხისმგებლობა ახალი პრობლემების წინაშე, და ადასტურებს მშრომელთა ფართო მასების ღრმა შეშფოთებას. სწორედ ეს საკითხი იყო აქ აზრთა გაზიარების ცენტრში.

ჩვენ, საბჭოთა დელეგაციას, შეგვეძლო აზრი, რომ შეხვედრამ გაამართლა მოლოდინი და გაამყარწყლა შიში, რომლითაც ზოგიერთი იყო შეპყრობილი.

არავის არაფერი არ დაუკარგავს. და ჩვენ ყველამ, ჩემი აზრით, ბევრი რამ შევიძინეთ. ამაზეც ვიტყოდი, რომ შევიძინეთ ბევრი საგულისხმო რამ, როცა ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები, ბრძოლის გამოცდილება.

ამრიგად, შეგვიძლია მივულოცოთ ერთმანეთს, და მე გილოცავთ თქვენ.

ჩემს გამოსვლაში ცალკე გამოვყოფდი ატმოსფეროს, რომელიც სუფევდა აქ ამ ორი დღის განმავლობაში. იქნებ, ეს ყველაზე არსებითიც იყოს: ჩვენ სხვანაირნი ვხდებით — ჩვენი მსოფლიოს გაგების თვალსაზრისითაც, და ჩვენი ურთიერთობის ხასიათზე შეხედულებების თვალსაზრისითაც. ამას დავძენ: ამ შეხვედრაზე გამოსვლების შინაარსი უფლებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ყველაზე უარესი ჩვენს ურთიერთობაში, ყველაზე ძნელი ჩადელია, თუმცა არც მომავალია ჩვენთვის იოლი გაწყვერნება.

ამ შეხვედრაზე არსებული ყველა განსხვავებისა და თავისებურების მიუხედავად ჩვენ გვაერთიანებს — და ეს სავსებით ცხადყო ყველა გამოსვლამ — **ორი რამ:** ჩვენ ყველანი ვმოქმედებთ მშრომელთა ინტერესებისათვის, და მზად ვართ გავაკეთოთ მაქსიმუმი, რათა თავიდან ავიცილოთ ომის საფრთხე, გავაჯანსაღოთ საერთაშორისო ურთიერთობა.

შეხვედრამ ნამდვილად ასახა თანამედროვე მსოფლიოს მრავალფეროვნება და სხვადასხვაგვარი პირობები, რომლებშიც ყოველი ჩვენგანი მუშაობს, აზრებისა და მიდგომის თავისებურება.

ჩვენ უკეთ გავიცანით ერთმანეთი და, რაც მთავარია, დავრწმუნდით, რომ შეგვიძლია ერთმანეთს ველაპარაკოთ გულახდილად, გულწრფელად, პატივისცემით, მეტიყოდი, ამხანაგურად.

ვფიქრობ, შეხვედრამ შემოქმედებითი შემეცნების, ჩვენი მსოფლიოსა და ამ მსოფლიოში ჩვენი ახალი როლის გააზრების სულისკვეთებით შემდგომი ფიქრების, ძიების დიდი საზრდო მოგვცა.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენთვის მეტად საინტერესო და სახალისო იყო მოგვესმინა, გაგვეგო, თუ როგორ გესმათ, როგორ ეკიდებით პროცესებს, რომლებიც თანამედროვე საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარეობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ — ჩვენს გარდაქმნას. თქვენს ნათქვამს მივიჩნევთ ჩვენი ძნელი საშუალოს მხარდაჭერად, ჩვენს ბრძოლასთან სოლიდარობის გამოვლინებად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ავითარებს, აახლებს საბჭოთა საზოგადოებას მთელი ხალხის აქტიური მონაწილეობით, ამოცანად ისახავს გამოავლინოს სოციალიზმის, სოციალისტური დემოკრატიის პოტენციალი და გაიყვანოს ჩვენი საზოგადოება ფუნდამენტალურად ახალ მიჯნებზე. ამ მუშაობას, რომელსაც ვეწევით ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის, მივიჩნევთ მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის მუშაობად.

მინდა გულითადი, გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ გამოგვეხმაურთ, ჩამობრძანდით მოსკოვში და მონაწილეობა მიიღეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რეგოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებში.

ჩვენი პარტიისა და მთელი ხალხის სახელით მადლობას გიხდით, გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ყოველივე სიკეთესა და წარმატებებს თქვენს ბრძოლაში.

1(საკდესი).

საუბრები კრემლში

4 ნოემბერს მ. ს. გორბაჩოვი მეგობრულ ვითარებაში შეხვდა იტალიის კომპარტიის გენერალურ მდივანს ა. ნატას და დელეგაციის წევრებს — იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრებს ამხანაგებს ჯ. ნაპოლიტანოს, ა. რუბისა და იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს რ. სანდრის.

იტალიელ კომუნისტთა სახელით ა. ნატამ მადლობა გადაიხადა ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავის დღესასწაულზე მოწვევისთვის. მან მაღალი შეფასება მისცა მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას საზეიმო სხდომაზე და მის გამოსვლებს პარტიათა და მოძრაობათა დელეგაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. ამ გამოსვლებში, თქვა ა. ნატამ, გაშუქდა თანამედროვე სამყაროს, მსოფლიო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები. მან მ. ს. გორბაჩოვს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას უსურვა შემდგომი წარმატებანი ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, ქვეყნის მიგნით პარტიის პოლიტიკური კურსის განხორციელებაში.

მ. ს. გორბაჩოვმა მადლობა გადაუხადა იტალიელ ამხანაგებს დღესასწაულში მონაწილეობისათვის, უსურვა დიდი წარმატება მუშაობაში. მოსაუბრეებმა მოკლედ გაუზიარეს ერთმანეთს აზრი დღევანდელობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე.

აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტებისა და მთელი სხვა მშვარცხენე და დემოკრატიული ძალების ფართო თანამშრომლობას.

მ. ს. გორბაჩოვმა და ა. ნატამ კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იტალიის კომპარტიის ურთიერთობის გამო, განაცხადეს, რომ ისწრაფვიან ხელი შეუწყონ მის ეფექტიან განვითარებას, პრინციპულად შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში გამართონ თავიანთი პარტიების დელეგაციათა უმაღლესი დონის შეხვედრა.

* * *

გულწრფელი ამხანაგური ნდობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრამ გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარესთან ჰ. მისთან. გაიმართა ენერგიული აზრთა გაზიარება ევროპაში და საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფართო თეორიული გააზრებისა და პოლიტიკური გაცნობიერების მნიშვნელობის, ამ მუშაობაში კომუნისტთა როლისა და სხვა პროგრესულ, დემოკრატიულ პარტიებთან და ორგანიზაციებთან მათი თანამშრომლობის თაობაზე.

მ. ს. გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელით გამოთქვა სოლიდარობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტთა ბრძოლასადმი შრომელთა საარსებო ინტერესებისათვის, რომელიც ეხება თანამედროვეობის საკაცობრიო პრობლემებს, უწინარესად — მსოფლიო პოლიტიკიდან გამალებული შეიარაღების გამორიცხვის პრობლემის გადაჭრას. ჰ. მისმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობას თანამედროვე სოციალიზმისა და მსოფლიო განვითარების თეორიული პრობლემების შემუშავების, გარდაქმნის პროგრამის განხორციელებისათვის, რომლის მნიშვნელობა და წარმატება სცილდება მარტოოდენ საბჭოთა ხალხის ინტერესების ფარგლებს.

* * *

გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის აღმასრულებელი კომისიის კოორდინატორის, ნიკარაგუის რესპუბლიკის პრეზიდენტის დანიელ ორტეგას შეხვედრა.

ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი ვითარების, შესახებ აზრთა გაზიარების დროს ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს გვატემალის შეთანხმებებს. გამოთქვა რწმენა, რომ მათი თანმიმდევრული განხორციელება სახავს მშვიდობიანი, სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგების პერსპექტივას განვითარების საკუთარი გზის არჩევაზე თითოეული ქვეყნის უფლების მკაცრი პატივისცემის პირობებში. მ. ს. გორბაჩოვმა დიდი შეფასება მისცა ნიკარაგუის მთავრობის პოლიტიკურ ღონისძიებებს ქვეყანაში ეროვნული შერიგების განხორციელებისათვის, კონსტრუქციულ მოქმედებას, რომლის მიზანია უცხოეთის სამხედრო ყოფნისაგან თავისუფალ რეგიონში მტკიცე მშვიდობის დამყარება. თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ეროვნული ღირსებისათვის ნიკარაგუელი ხალხის ბრძოლასთან საბჭოთა ადამიანების სოლიდარობა მკაფიოდ გამოიხატა იმ მხურვალე მისალმებებით, რომლებითაც დ. ორტეგას შეხვდნენ კრემლში საზეიმო სხდომაზე გამოსვლის დროს.

მეგობრულ საუბარში მონაწილეობდნენ ნიკარაგუის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. დესკოტო, ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის საერთაშორისო განყოფილების გამგე ხ. ლოპესი, ნიკარაგუის ელჩი სსრ კავშირში ე. კასტელიო.

* * *

5 ნოემბერს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. კრუნიჩს და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრს ს. დოლანცს.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის, იუგოსლავ მშრომელთა სახელით ბ. კრუნიჩმა და ს. დოლანცმა გულითადად მიულოცეს ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავი, გულწრფელად უსურვეს წარმატებანი სსრ კავშირში გარდაქმნის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში. მ. ს. გორბაჩოვმა გამოთქვა საბჭოთა ადამიანების მეგობრული გრძნობები იუგოსლავიისადმი, ხაზი გაუსვა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის იუგოსლავ კომუნისტთა საქმიანობისადმი ამხანაგურ სოლიდარობას.

დადასტურდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ურთიერთდაინტერესება ორი პარტიის, ქვეყნისა და ხალხის თანასწორუფლებიანი და ხელსაყრელი ურთიერთობის ეკონომიკასა და ცხოვრების სხვა დარგებში თანაშრომლობის თანამიმდევრული გაღრმავებითა და გამდიდრებით. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის უფრო ფართო თანამშრომლობას საერთაშორისო საქმეებში თითოეული ქვეყნის ინტერესებისა და მისი პოლიტიკის თავისებურებათა სრული პატივისცემის პირობებში.

საუბარმა გულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

* * *

გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის ხანმოკლე საუბარი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ეროვნულ მდივანთან ლ. ლე პანსეკთან.

ლ. ლე პანსეკმა მ. ს. გორბაჩოვს გადასცა ფრანგი სოციალისტების მეგობრული სალამი, უსურვა თავისი პარტიის სახელით წარმატებები გარდაქმნის განხორციელებაში. მ. ს. გორბაჩოვმა კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა-საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლთა მონაწილეობის გამო, მხარი დაუჭირა საბჭოთა კომუნისტებისა და ფრანგი სოციალისტების ურთიერთ გაგებისა და დიალოგის გაღრმავებას.

* * *

ამავე დღეს კრემლში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის ხანმოკლე მეგობრული შეხვედრა კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურ მდივანთან ე. პაპაიოანუთანა.

ე. პაპაიოანუმ კვიპროსელი მშრომელების სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს კვიპროსში ვითარების სამართლიანი მოწესრიგებისათვის კვიპროსელთა ანტიიმპერიალისტური ბრძოლის თანამიმდევრული მხარდაჭერის გამო. მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ სოლიდარობს კვიპროსელ კომუნისტებს, და უსურვა მათ ქვეყნის სხვა პატრიოტულ ძალებთან თანამშრომლობით უსწრაფესად გადაჭრან კვიპროსის პრობლემა თავიანთი ხალხის საკეთილდღეოდ, და ხმელთაშუაზღვის რეგიონში მშვიდობის ინტერესებისათვის.

* * *

გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის ხანმოკლე შეხვედრა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარესთან ი. არაფატთან.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ეცდება მიაღწიოს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობასა და ვითარების სამართლიან მოწესრიგებას, რაც შეესაბამება ყველა იმ მხარის კანონიერ ინტერესებს, რომლებსაც ეს ეხება მათ შორის პალესტინელი ხალხის ინტერესებსაც.

ი. არაფატმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირს პალესტინელთა უფლებების თანამიმდევრული მხარდაჭერისათვის.

(საკდესი).

საოქტომბრო ნობათები

გაზსადენის ნაბიჯები

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წინ დამთავრდა გაზსადენის მშენებლობა, რომელიც ცისფერ სათბობს მიაწვდის აბაშისა და ცხაკაიას მცხოვრებლებს. საექსპლოატაციოდ გადაცემული უბანი 212-კილომეტრიანი ქუთაისი-სოხუმის მაგისტრალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მისი მთლიანად ამოქმედება მომდინარე წლის დამლევისთვის არის დასახული, რითაც დასრულდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გაზიფიკაციის პროგრამის პირველი ეტაპის რეალიზაცია.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ლობჟანიძემ აცნობა, საქართველოში ამჟამად გაყვანილია ხუთი ათას კილომეტრზე მეტი მილსადენი. მეორე ეტაპისათვის, რომელიც ორი ათას წლამდეა გათვალისწინებული, დასახულია კიდევ ათი ათასი კილომეტრი მაგისტრალის გაყვანა. ამ დროისათვის რესპუბლიკაში გამოყენებული გაზის მოცულობა ყოველწლიურად 15 მილიარდ კუბურ მეტრს გადააჭარბებს. გაზს მიიღებს ყველა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საბინაო-კომუნალური ობიექტი.

მთლიან გაზიფიკაციას დიდი ბუნებადაცვითი მნიშვნელობა აქვს. მიწამდირე საქართველოს რესპუბლიკაში ამავე დროს უნიკალური სამკურნალო ტყეებია, რომლებიც გაჩეხვას უნდა გადავარჩინოთ.

შეჯიბრების ავანგარდში

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავ სადღესასწაულო დემონსტრაციაზე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივი გამოვა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. მეზღვაურებს სა

ოქტომბრის კურსით — გარდაქმნის კურსით

(გაგრძელება)

სწორედ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, ამ ისტორიულ ფორუმზე, ქვეყნის მთავარ დარბაზში განსაკუთრებული ძალით ვიგრძენით, რომ დიდი ოქტომბერი გრძელდება ჩვენს დღევანდელ საქმეებში, რომ გარდაქმნა აგრძელებს რევოლუციის საქმეს, რევოლუციასა და გარდაქმნას შორის, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, ტოლობის ნიშანია დასმული.

ჩვენ ეს-ეს არის დავბრუნდით მოსკოვიდან, და მთელი ჩვენი დელეგაცია — უკლებლივ ყველა — შეპყრობილია უზარმაზარი, დაუვიწყარი შთაბეჭდილებით, რომლებიც მოახდინა აღმფრენისა და ზეიმურობის იქ გამეფებულმა ატმოსფერომ, თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა ერთიანობისა და შეკავშირების მღელვარე ვითარებამ, ახლანდელი მომენტის ისტორიული მნიშვნელობის შეგნებამ და რევოლუციის ბედისათვის, სამშობლოს ბედნიერებისათვის, მომავალი თაობებისათვის თითოეულის უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობამ.

მილიონების აზრები და გრძნობები მკაფიოდ გამოხატა თავის მოხსენებაში მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა. იუბილე სიამაყის მომენტია, — თქვა მან. — იუბილე ხსოვნის მომენტია. იუბილე განსჯის მომენტია. იუბილე მომავლის ჭვრეტაც არის.

მთელი ქვეყანა უსმენდა ამ დამრაზმველ მოხსენებას, მთელ პლანეტაზე, მრავალი სატელევიზიო და რადიოსადგური გადასცემდა მას მსოფლიოს ხალხების ენებზე. და ყველამ გონების თვალი გადაავლო ბრძოლებისა და გამარჯვებების გმირულ გზას, რომელიც ამ წლებში გაიარა საბჭოთა ხალხმა დიდი ლენინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით.

„შვიდი ათწლეული, — თქვა მიხეილ სერგის ძემ, — სულ მცირე დროის მონაკვეთია მსოფლიო ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვან აღმავლობის გზაზე, მაგრამ ისტორიას არ ახსოვს გამარჯვებათა მასშტაბით ისეთი პერიოდი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. არ არსებობს იმაზე უფრო მეტი პატივი, ვიდრე ის, რომ ადგე პირველმკვალავთა გზას, მთელ ძალ-ღონეს, ენერგიას, ცოდნას, უნარს ახმარდე ოქტომბრის იდეებისა და მიზნების გამარჯვებას“.

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება, მისი წიგნი გარდაქმნისა და ახალი აზროვნების შესახებ, რომელიც გამოვიდა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისთვის, — ეს არის რევოლუციური აზრის ცოცხალი ფეთქვა, ეს არის ისტორიული განვითარების შედეგიც, თეორია გარდაქმნის, იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც წამოიჭრა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს წინაშე, ახალი პოლიტიკური აზროვნების, საგარეო პოლიტიკის ფილოსოფიის, ერთი სიტყვით. ჩვენი დროის სირთულის, პასუხისმგებლობისა და განშეორებლობის შესახებ. ამავე დროს ეს არის ჩვენი ცხოვრების ხვალინდელი დღის ჭვრეტაც, ვინაიდან, როგორც ნათქვამი იყო, სწორედ დღეს ეყრება საფუძველი მომავალს.

1917 წლის ოქტომბერში ჩვენ მოვშორდით ძველ სამყაროს, სამუდამოდ მოვიწყვიტეთ იგი. ჩვენ მივდივართ ახალი სამყაროსაკენ — კომუნიზმის სამყაროსაკენ. ამ გზას არასდროს არ გადავუხვევთ!

ეს ითქვა კრემლის ყრილობათა სასახლეში ოქტომბრის 70 წლისთავის იუბილეს დღესასწაულობის დღეს. ამას ვამბობთ ჩვენ დღეს. ასე იცხოვრებენ, იშრომებენ და იბრძოლებენ საბჭოთა კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი, რომლებიც ერთგულად განაგრძობენ დიდი ოქტომბრის იდეებსა და საქმეს.

70 წლის წინათ, 25 ოქტომბერს — ახალი სტილით კი 7 ნოემბერს — მოხდა XX საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენა. დადგა გამარჯვებული ხალხის ვარსკვლავური ჟამი, რომელმაც კაცობრიობას აუწყა ახალი ერის დაწყება. ეს დღე ჩვენი რევოლუციური კალენდრის ყველაზე სამახსოვრო დღე გახდა.

სწორედ ამ დღეს, 70 წლის წინათ, დღის 2 საათსა და 35 წუთზე, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს საგანგებო სხდომაზე ვ. ი. ლენინმა გამოაცხადა:

— ამხანაგებო! მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობის შესახებ მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა.

რევოლუცია მოხდა!

რევოლუციამ გაიმარჯვა!

დიდი ოქტომბრის გამარჯვების პირველ დღესვე ვ. ი. ლენინმა თქვა, რომ რუსეთის ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი, რომ რუსეთის ამ, მესამე რევოლუციამ საბოლოო ანგარიშით უნდა მიგვიყვანოს სოციალიზმის გამარჯვებასთან და უკვე დღია „ხელი მოვკიდოთ პროლეტარული სოციალისტური სახელმწიფოს შენებას“.

იმავე დღის საღამოს და მეორე დღეს, როცა წითელი გვარდიის რაზმებს, მატროსებსა და პეტროგრადის გარნიზონის რევოლუციურად განწყობილ ნაწილებს იერიში მიეჭედნათ ზამთრის სასახლეზე და უკვე მოვიდა ცნობა დროებითი მთავრობის დაპატიმრების შესახებ, სმოლნში სხდომა გამართა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელმა, მიიღო ლენინის მიერ დაწერილი ისტორიული დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ.

ამრიგად, მიწა და ზავი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველი სიტყვა, და ეს სიტყვა იყო ლენინური სიტყვა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მჭიდროდ არის დაკავშირებული ლენინის სახელთან.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი სათავეში ედგა ბოლშევიკთა პარტიას, რომელმაც დარაზმა რუსეთის მუშათა კლასი, მშრომელები რევოლუციური გმირობისათვის. მრავალჟამ იცოცხლებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი და საქმე!

ლენინიზმის სულისკვეთებით, ნოვატორობის სულისკვეთებით, თავისი არსით რევოლუციური სულისკვეთებით არის გამსჭვალული კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობა, საბჭოთა ხალხის შრომა და ბრძოლა დიდი ოქტომბრის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე, საიდანაც დასაბამი მიეცა ჩვენი ქვეყნის შემდგომ რევოლუციურ გარდაქმნათა ეპოქას.

ყოველ ისტორიულ პერიოდში რევოლუციურობა ახალ შინაარსს იძენს. ეს უკვე არა მარტო რევოლუციური ძალაუფლების მოპოვება, არამედ მისი განმტკიცებაცაა, ეს არის შემდგომი რევოლუციური გარდაქმნების განხორციელება. რევოლუციური მაჯისცემა იგრძნობა ცხოვრების ყველა დარგში — ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ დარგებში.

დიდი რევოლუციური გმირობა ჩაიდინეს მუშათა კლასმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა, როცა განახორციელეს პარტიის ინდუსტრიალიზაციის კურსი. ამ კურსმა გადაქცია ჩვენი ქვეყანა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

ვ. ი. ლენინი გვიფრთხილებდა, რომ, „თუ კარგად არ არის დაყენებული მსხვილი მრეწველობა, ისე სოციალიზმზე ლაპარაკიც შეუძლებელია“. და ჩვენთან ჩაიყარა სოციალიზმის მყარი საძირკველი.

რევოლუციური ხასიათისა იყო თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

ვ. ი. ლენინმა თქვა, რომ „ჩვენი საერთო ამოცანა, ჩვენი საერთო მიზნი არის სოციალისტური მეურნეობაზე, კოლექტიურ მეწარმეობაზე, მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლა“. პარტიის ხელმძღვანელობით მოხდა დიდი სოციალური რევოლუცია, რომელმაც ძირეულად შეცვალა ეკონომიკური ურთიერთობა სოფლად, თვით გლეხთა ცხოვრების წესი. სწორედ კოლექტივიზაციამ დაამკვიდრა საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლება სოფლად.

ჩვენი რევოლუციური ისტორიის ფაქტია კულტურული რევოლუცია. სწორედ მან აღმოფხვრა უწიგნურობა, სწორედ მისი მეოხებით მივაღწიეთ მსოფლიოში მასების განათლების ერთ-ერთ ყველაზე მაღალ დონეს, ფართო გასაქანი მიეცა შემოქმედებითი ძალების განვითარებას, მშრომელი ადამიანის სულიერ აყვავებას, სწორედ ამ რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა სოციალისტური ინტელიგენცია.

დიდი გზის ეტაპები გაიარა ჩვენმა ქვეყანამ 70 წლის განმავლობაში.

და დღეს, სახელოვანი იუბილეს წინ, პარტია ჯეროვან პატივს მიაგებს ახალი სამყაროს შენებლებს, ქება-დიდებით მოიხსენიებს იმათ, ვინც თავი შესწირა სოციალიზმის დიად საქმეს, რევოლუციონერ ლენინელებს, ილიჩის თანამებრძოლებს, იმათ, ვინც საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიზმის გმირულ ტრადიციებს და, ყველა გაჭირვებისა და განსაცდელის მიუხედავად, ურყევად ერთგულობდა კომუნისტურ იდეალებს.

ყოველივე ეს, ამხანაგებო, ჩვენი სახელოვანი ისტორიაა, ეს ჩვენი ისტორიული, რევოლუციური ხსოვნაა. და ჩვენ მას უნდა მოვუფრთხილდეთ. იგი უნდა დავიცვათ.

ლენინური გენიალური გეზის ერთგული ჩვენი პარტია სოციალიზმის შენებლობის პროცესში, მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში, შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების განუწყვეტელი ბრიკების ვითარებაში სძლევდა სხვადასხვაგვარი ანტილენინური ჯგუფებისა და მიმდინარეობების წინააღმდეგობას.

ეს ობიექტური პირობები, ცნობილ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად ქმნიდა სერიოზული შეცდომების, ხარვეზებისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევების ნიადაგს, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა უსაფუძვლო მასობრივი რეპრესიები, რის დავიწყებაც და, მით უმეტეს, პატიება შეუძლებელია.

ამ წლების მანძილზე პარტიისა და ქვეყნის მიერ განვლილი ისტორიული გზა პრინციპულად და ობიექტურად არის შეფასებული მოხსენებაში, რომელიც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა მოსკოვის საზეიმო სხდომაზე.

ითქვა ისიც, რომ სოციალიზმის შენებლობის პროცესში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მცდარმა „თეორიამ“ სხვა მოვლენებთან ერთად დამღუპველი გავლენა მოახდინა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე, უმძიმესი შედეგები მოჰყვა. საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის ჯეროვანი დონის უკონლობამ გახადა შესაძლებელი პიროვნების კულტიც, კანონიერების დარღვევებიც, ოცდაათიანი წლების განუკითხაობა და რეპრესიებიც. სერიოზული ზიანი მიადგა სოციალიზმის საქმესა და პარტიის ავტორიტეტს.

„ახლა დიდი დისკუსიები გაჩაღდა ჩვენს ისტორიაში სტალინის როლის შესახებ, — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. — მისი პიროვნება უაღრესად წინააღმდეგობრივია. თუ გვინდა ისტორიული სიმართლის პოზიციებზე დავრჩეთ, ჩვენ უნდა ვხედავდეთ როგორც სოციალიზმისათვის, მისი მონაპოვრების დაცვისათვის ბრძოლაში სტალინის უდავო წვლილს, ისე იმ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებსაც, განუკითხაობასაც, რომლებიც მან და მისმა გარემოცვამ დაუშვეს, რაც ჩვენს ხალხს ძალზე ძვირად დაუჯდა და ძმეზე შედეგები მოჰყვა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. ზოგჯერ იტყვიან, სტალინმა არც კი იცოდაო უკანონობის ფაქტები. ჩვენ გვაქვს საბუთები, რომლებიც მოწმობს, რომ ასე არ ყოფილა. სტალინისა და მისი უახლოესი გარემოცვის დანაშაული პარტიისა და ხალხის წინაშე დაშვებული მასობრივი რეპრესიებისა და უკანონობის საქმეში უდიდესი და მიუტევებელია. ეს ჭკუის სასწავლებელია ყველა თაობისათვის“.

ამავე დროს მოხსენებაში ითქვა ისიც, რომ გამარჯვებაში თავისი როლი შეასრულა უდიდესმა პოლიტიკურმა ნებამ, მიზანსწრაფვამ და სიმტკიცემ, ხალხის დარაზმვისა და დისციპლინის ჩანერგვის უნარმა, რომლებიც ომის წლებში გამოავლინა ი. ბ. სტალინმა.

ჩვენ განვვლეთ ნამდვილად ძნელი, წინააღმდეგობებითა და სირთულით აღსავსე, მაგრამ დიდი და გმირული გზა. ამ გზაზე იყო ყველაფერი — გმირულიც, ტრაგიკულიც, დიდი გამარჯვებებიც და მწარე მარცხიც.

ყველა ეტაპი, ყველა პერიოდი, ყველა დაბრკოლება, ისევე როგორც მთელმა ქვეყანამ, განვლო რევოლუციონერ ლენინელ შემდგომ რევოლუციურ გარდაქმნათა ეპოქას.

ყოველ ისტორიულ პერიოდში რევოლუციურობა ახალ შინაარსს იძენს. ეს უკვე არა მარტო რევოლუციური ძალაუფლების მოპოვება, არამედ მისი განმტკიცებაცაა, ეს არის შემდგომი რევოლუციური გარდაქმნების განხორციელება. რევოლუციური მაჯისცემა იგრძნობა ცხოვრების ყველა დარგში — ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ დარგებში.

დიდი რევოლუციური გმირობა ჩაიდინეს მუშათა კლასმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა, როცა განახორციელეს პარტიის ინდუსტრიალიზაციის კურსი. ამ კურსმა გადაქცია ჩვენი ქვეყანა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

ვ. ი. ლენინი გვიფრთხილებდა, რომ, „თუ კარგად არ არის დაყენებული მსხვილი მრეწველობა, ისე სოციალიზმზე ლაპარაკიც შეუძლებელია“. და ჩვენთან ჩაიყარა სოციალიზმის მყარი საძირკველი.

რევოლუციური ხასიათისა იყო თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

ვ. ი. ლენინმა თქვა, რომ „ჩვენი საერთო ამოცანა, ჩვენი საერთო მიზნი არის სოციალისტური მეურნეობაზე, კოლექტიურ მეწარმეობაზე, მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლა“. პარტიის ხელმძღვანელობით მოხდა დიდი სოციალური რევოლუცია, რომელმაც ძირეულად შეცვალა ეკონომიკური ურთიერთობა სოფლად, თვით გლეხთა ცხოვრების წესი. სწორედ კოლექტივიზაციამ დაამკვიდრა საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლება სოფლად.

ჩვენი რევოლუციური ისტორიის ფაქტია კულტურული რევოლუცია. სწორედ მან აღმოფხვრა უწიგნურობა, სწორედ მისი მეოხებით მივაღწიეთ მსოფლიოში მასების განათლების ერთ-ერთ ყველაზე მაღალ დონეს, ფართო გასაქანი მიეცა შემოქმედებითი ძალების განვითარებას, მშრომელი ადამიანის სულიერ აყვავებას, სწორედ ამ რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა სოციალისტური ინტელიგენცია.

დიდი გზის ეტაპები გაიარა ჩვენმა ქვეყანამ 70 წლის განმავლობაში.

და დღეს, სახელოვანი იუბილეს წინ, პარტია ჯეროვან პატივს მიაგებს ახალი სამყაროს შენებლებს, ქება-დიდებით მოიხსენიებს იმათ, ვინც თავი შესწირა სოციალიზმის დიად საქმეს, რევოლუციონერ ლენინელებს, ილიჩის თანამებრძოლებს, იმათ, ვინც საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიზმის გმირულ ტრადიციებს და, ყველა გაჭირვებისა და განსაცდელის მიუხედავად, ურყევად ერთგულობდა კომუნისტურ იდეალებს.

ყოველივე ეს, ამხანაგებო, ჩვენი სახელოვანი ისტორიაა, ეს ჩვენი ისტორიული, რევოლუციური ხსოვნაა. და ჩვენ მას უნდა მოვუფრთხილდეთ. იგი უნდა დავიცვათ.

ლენინური გენიალური გეზის ერთგული ჩვენი პარტია სოციალიზმის შენებლობის პროცესში, მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში, შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების განუწყვეტელი ბრიკების ვითარებაში სძლევდა სხვადასხვაგვარი ანტილენინური ჯგუფებისა და მიმდინარეობების წინააღმდეგობას.

ეს ობიექტური პირობები, ცნობილ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად ქმნიდა სერიოზული შეცდომების, ხარვეზებისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევების ნიადაგს, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა უსაფუძვლო მასობრივი რეპრესიები, რის დავიწყებაც და, მით უმეტეს, პატიება შეუძლებელია.

ამ წლების მანძილზე პარტიისა და ქვეყნის მიერ განვლილი ისტორიული გზა პრინციპულად და ობიექტურად არის შეფასებული მოხსენებაში, რომელიც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა მოსკოვის საზეიმო სხდომაზე.

ითქვა ისიც, რომ სოციალიზმის შენებლობის პროცესში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მცდარმა „თეორიამ“ სხვა მოვლენებთან ერთად დამღუპველი გავლენა მოახდინა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე, უმძიმესი შედეგები მოჰყვა. საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის ჯეროვანი დონის უკონლობამ გახადა შესაძლებელი პიროვნების კულტიც, კანონიერების დარღვევებიც, ოცდაათიანი წლების განუკითხაობა და რეპრესიებიც. სერიოზული ზიანი მიადგა სოციალიზმის საქმესა და პარტიის ავტორიტეტს.

„ახლა დიდი დისკუსიები გაჩაღდა ჩვენს ისტორიაში სტალინის როლის შესახებ, — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. — მისი პიროვნება უაღრესად წინააღმდეგობრივია. თუ გვინდა ისტორიული სიმართლის პოზიციებზე დავრჩეთ, ჩვენ უნდა ვხედავდეთ როგორც სოციალიზმისათვის, მისი მონაპოვრების დაცვისათვის ბრძოლაში სტალინის უდავო წვლილს, ისე იმ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებსაც, განუკითხაობასაც, რომლებიც მან და მისმა გარემოცვამ დაუშვეს, რაც ჩვენს ხალხს ძალზე ძვირად დაუჯდა და ძმეზე შედეგები მოჰყვა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. ზოგჯერ იტყვიან, სტალინმა არც კი იცოდაო უკანონობის ფაქტები. ჩვენ გვაქვს საბუთები, რომლებიც მოწმობს, რომ ასე არ ყოფილა. სტალინისა და მისი უახლოესი გარემოცვის დანაშაული პარტიისა და ხალხის წინაშე დაშვებული მასობრივი რეპრესიებისა და უკანონობის საქმეში უდიდესი და მიუტევებელია. ეს ჭკუის სასწავლებელია ყველა თაობისათვის“.

ამავე დროს მოხსენებაში ითქვა ისიც, რომ გამარჯვებაში თავისი როლი შეასრულა უდიდესმა პოლიტიკურმა ნებამ, მიზანსწრაფვამ და სიმტკიცემ, ხალხის დარაზმვისა და დისციპლინის ჩანერგვის უნარმა, რომლებიც ომის წლებში გამოავლინა ი. ბ. სტალინმა.

ჩვენ განვვლეთ ნამდვილად ძნელი, წინააღმდეგობებითა და სირთულით აღსავსე, მაგრამ დიდი და

ვიმედოვნებთ, დარწმუნებული ვართ, ნათქვამი იყო მიმართვაში, რომ დიდი პროლეტარული რევოლუციის ქვეყანა არ მიგვატოვებს უთანასწორო ბრძოლაში და დაეხმარება საქართველოს ახლად შობილ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

დახმარებამაც არ დააყოვნა. ინტერნაციონალური ვალის ერთგული საბჭოთა რუსეთი დაეხმარა ამიერკავკასიის ხალხებს, ბოლშევიკურ ორგანიზაციებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

დახმარება მოვიდა ლენინის მითითებით. გმირული XI წითელი არმიის ნაწილებმა მხარი დაუჭირეს აჯანყებული ხალხის შეიარაღებულ რაზმებს. მეომართა გზა გადიოდა საქართველოს და აზერბაიჯანის სასაზღვრო ფოილოს ხიდზე.

მეხშვიკებმა, რომლებიც ცდილობდნენ გზა გადაეღობათ რევოლუციისათვის, ააფეთქეს იგი. მაგრამ ოთხი დღის შემდეგ ასობით მუშის, გლეხის, რკინიგზელის მეცადინეობით ხიდი აღდგა. მატარებლების მოძრაობა განახლდა.

მიტინგზე შეკრებილმა ხიდის მშენებლებმა წერილი გაუგზავნეს ლენინს.

„ძვირფასო ვლადიმერ ილიას ძევ!... — წერდნენ ისინი. — ჩვენ დავადგინეთ ფოილოს ხიდს ვუწოდოთ ლენინის ხიდი, რათა ეს ხიდი გადაიქცეს ქართველი და რუსი პროლეტარების მეგობრული ერთობლივი მუშაობის პირველ ძეგლად და ისევე მტკიცედ დაუკავშიროს ეს ორი ერი ერთმანეთს, როგორც ჩვენ დავაკავშირეთ მტკვრის ორივე ნაპირი“.

რევოლუცია სწრაფად ვითარდებოდა.

ოქტომბრის ძლევამოსილი სვლა საქართველოში გრძელდებოდა. 1921 წლის 4 მარტს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა უკვე ფრიალებდა აფხაზეთში; 5 მარტს — სამხრეთ ოსეთში; 18 მარტს — აჭარაში.

დიდი ოქტომბრის გამარჯვებით დამთავრდა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის საქართველოს მშრომელთა გმირული ბრძოლა.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — სოციალისტური შენებლობის, ნამდვილი ეროვნული აღორძინების, არნახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან თვე-ნახევრის შემდეგ ლენინი წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის აზნაგებს, კომუნისტებს“ კნლავ მხურვალედ მიესალმა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს.

ლენინის ეს წერილი ჩვენთვის გახდა დასაყრდენი წერტილი საბჭოთა მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში და ამავე დროს რესპუბლიკის მიღწევების ათვლის წერტილი.

ვ. ი. ლენინმა გვიანდერძა ყოველნაირად განგვეთვითარებინა საწარმო ძალები. გავიდა ათწლეულები, და საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოში წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობა 260-ჯერ და მეტად გაიზარდა, სამრეწველო წარმოების მოცულობა — დაახლოებით 435-ჯერ. მრეწველობის დაჩქარებულმა განვითარებამ უზრუნველყო სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბება.

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი, როგორც იგი უწოდა, „უდიდესი სამთამადნო სიმდიდრენი“. მათ დღეს მილიანად ვიყენებთ. რესპუბლიკაში დაზვიერილი სიმდიდრე სახალხო მეურნეობის სამსახურშია ჩაყენებული და, რა თქმა უნდა, ლენინის მიერ დასახელებული მანგანუმი, ქვანახშირი, ნავთობი, სპილენძი, აგრეთვე სხვა ძვირფასი ლითონები, არამადნიული მასალები.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ საჭიროა დავიწყოთ ელექტრიფიკაციის დიდი სამუშაოები, უფრო სრულად გამოვიყენოთ „თეთრი ნახშირი“. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოში შეიქმნა მსხვილი ელექტროენერგეტიკული ბაზა. ამოქმედდა ზაპესი — გოელროს ლენინური გეგმით ვოლხოვის შემდეგ აშენებული მეორე ელექტროსადგური, მას შემდეგ კი მწყობრში ჩადგა ენერგეტიკის მთელი რიგი მძლავრი ობიექტები.

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შემდგომი აღმავლობისათვის „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორწყვა“, „მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ავითვისეთ ვრცელი უწყლო სივრცეები, სარწყავი მიწების ფართობი 4,7-ჯერ გაიზარდა. რესპუბლიკაში შეიქმნა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოება მასში წამყვანი ადგილი უჭირავს. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა თითქმის 15-ჯერ გაიზარდა.

კაპიტალურმა დაბანდებებმა სახალხო მეურნეობაში განვლილი წლების მანძილზე დაახლოებით 50 მილიარდი მანეთი შეადგინა.

განუხრელად უმჯობესდ ე ბ ა მშრომელთა კეთილდღეობა. 2,4-ჯერ და მეტად გაიზარდა მოსახლეობის რეალური შემოსავალი. მთელი წლების მანძილზე ამენდა თითქმის 70 მილიონი ბინა, ყველა ტეტი მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

დიდად დაწინაურდა რესპუბლიკა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა ხელისუფლების — თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ განვლილი წლები. მთლიანი სოზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი თითქმის 2,5-ჯერ გადიდდა; ძირითადი საწარმოო ფონდები — თითქმის 2,8-ჯერ, შრომის ნაყოფიერება — თითქმის ერთიორად. არსებითად შემცირდა განსხვავება საშუალო საკავშირო დონესთან უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით. იზრდება საბჭოთა საქართველოს წვლილი საერთო-საკავშირო კუთვნილებაში.

წარმატებით დამთავრდა მეთერთმეტე ხუთწლედი. მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს გადაჭარბებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პროდუქტებიდ წარმოებისა და დამზადების დავალებანი.

შესამჩნევი წარმატებანია მოპოვებული რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ცხოვრებაში. საქართველოს მეცნიერთა მიღწევები, ქართველ მწერალთა ქმნილებანი სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობენ. ფარდოდ არის ცნობილი თეატრისა და კინოს მოღვაწეთა სახელები და ნამუშევრები. საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურა მოსკოვში გამართულმა ქართველ მხატვართა ნაწარმოებების დიდმა გამოფენამ.

დიდი ინტელექტუალური პოტენციალი აქვს ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემას. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი დასაწყვეტი ამოცანა და გადასაჭრელი პრობლემაა. და ამას მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის დადგენილება რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის შესახებ, რომელიც მოითხოვს გავუმჯობესოთ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი, რაციონალურად გამოვიყენოთ კადრები სახალხო მეურნეობაში.

კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის, ამ ჩვენი ეროვნული საგანძურის, გამოცემის დამთავრება.

ქართული ეროვნული კულტურის ნამდვილი დღესასწაული, მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურების მჭიდრო თანამეგობრობის დღესასწაული გახდა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის ზეიმი.

სკკპ XXVII ყრილობაზე მოვიყვანეთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები, რომელიც ამბობდა, რომ „რუს ხალხთან მეგობრობა ისეთი ფასდაუდებელი მონაპოვარია, რომელსაც არ შეიძლება არ ვუფრთხილდებოდეთ მთელი ჩვენი არსებით, მთელი სულითა და გულით“.

ეს სიტყვები თითქმის 100 წლის წინათ ითქვა.

ილიას სიტყვები რუსი ხალხის, მასთან ურღვევი მეგობრობის შესახებ ახალი ძალით გაისმა რუსეთთან საქართველოს დამოყვრების 200 წლისთავის დღესასწაულის დღეებში.

ამ სიტყვებს დღესაც წარმოთქვამთ.

გაივლის კიდევ ასი, ორასი წელი და ჩვენ ასევე განვადიდებთ ჩვენს მეგობრობას დიდ რუს ხალხთან, რამეთუ ეს მეგობრობა სამარადისო ძმობაა!

მხურვალედ მიესალმა რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ვ. ი. ლენინმა გამოთქვა იმედი, რომ „მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიშუნს“.

ეს იმედი ქართველმა კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა პირნათლად გაამართლეს, დაძლიეს ერთაშორისი შუღლი — მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავათელთა ეს სამარცხვინო მემკვიდრეობა,— ამიერკავკასიელმა ბოლშევიკებმა ხალხები ერთიანნ, ძმურ, ერთსულოვან ოჯახად შეადუღაბეს.

დიდმა ოქტომბერმა საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე დამკვიდრდა ხალხთა თანასწორობა, უფრო მჭიდრო გახდა მათი ძმური თანამშრომლობა. ეს ჩანს საბჭოთა საქართველოს მაგალითით, სადაც განმტკიცდა ეკონომიკა, კიდევ უფრო განვითარდა მისი ავტონომიებიი — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურა.

ამ ძლევამოსილი პროცესის მხოლოდ ცალკეული შტრიხებია აფხაზეთის უნივერსიტეტისა და აფხაზეთის ტელევიზიის გახსნა, გუშინ კი ეთერში გავიდა აჭარის ტელევიზიის პირველი გადაცემა.

რესპუბლიკაში ერთსულოვან ოჯახად შრომობენ და ცხოვრობენ ქართველები, აფხაზები, ოსები, რუსები, სომხები, ებრაელები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები — 80-ზე მეტი ეროსა და ეროვნების წარმომადგენლები. ახლა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მიმდინარეობს რვა ენაზე. ამდენივე ენაზე გამოდის წიგნები, ჟურნალები და გაზეთები, წარმოებს ტელე და რადიოგადაცემები. ეს ჩვენი განსაკუთრებული სიამაყის საგანია. ესეც ითქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე მოსკოვში.

ქვეყანაში პირველი ხალხთა მეგობრობის მუზეუმი და თბილისში შექმნილი პირველი მეგობრობის თეატრი — ანა ეს მშრომელი ადამიანების დიადი ძმობის მატიანის მკაფიო ფურცლები არ არის?

აი, უკვე მერამდენე წელია შრომის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დაუვიწყარი დღესასწაული ხდება ხოლმე ჩვენი ტრადიციული თბილისობა. ჩვენი დელეგაციის სახელით ამის შესახებ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა ამბ. გ. ა. მეტონიძემ.

წელს ყველასათვის საყვარელი დღესასწაული გაიმართა სწორედ 25 ოქტომბერს, იმ დღეს, როცა (ძველი სტილით) 70 წლის წინათ მოხდა ოქტომბრის რევოლუცია. ეს კი თითქოს კვლავ მოწმობს ოქტომბრის კიდევ ერთ უდიდეს მონაპოვარს — ხალხთა ლენინურ მეგობრობას.

უკანასკნელი დოკუმენტი, რომელითაც მთავრდება უკვდავი ლენინური მემკვიდრეობა, გახდა ვლადიმერ ილ

ოქტომბრის კურსით—გარდაქმნის კურსით

(გაგრძელება)

ვფიქრობ, ამ ბოლო დროს მოხდა პატიოსნების თვით ცნების ერთგვარი დევალვაცია. სამწუხაროდ, როცა დღეს ვამბობთ: პატიოსანი კაციაო, როგორც წესი, მხედველობაში გვაქვს, რომ იგი არ არის მექრთამე, არ ქურდობს, არ სპეკულანტობს, არ თაღლითობს, ცხოვრობს პატიოსანი ხელფასით, ერთი სიტყვით, შრომითი შემოსავლით. მაგრამ პატიოსნება სხვა ხასიათის ცნებაც არის.

აი აქ, ჩვენთან ერთად არიან კომუნისტური პარტიის ვეტერანები, საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიური მებრძოლები. როგორ აღშფოთდება თითოეული მათგანი, რომ ვუთხრათ, რომ იგი პატიოსანი კაცია (ახლანდელი გაგებით).

იგი მას აღიქვამს, შეურაცხყოფად, რამეთუ პატიოსანი კაცი, უწინარეს ყოვლისა, ალალ-მართალი, პირდაპირი, კეთილსინდისიერი, უეშმაკო, წესიერი კაცია. სწორედ ამ თვალსაზრისით ვლაპარაკობთ მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანებზე, რომლებიც ხმას იმაღლებენ მშვიდობის დასაცავად.

რეაბილიტაცია სჭირდება, ალბათ, კეთილშობილების ცნებასაც, რადგან ეს არის მაღალზნეობრივი, უზადოდ პატიოსანი ადამიანის დახასიათება, რომელსაც შეუძლია არფრად ჩაგდოს, დათმოს პირადი ინტერესები საერთო საქმისათვის, სხვების ინტერესისათვის.

კეთილშობილურია რაჰიმ მამედოვის საქციელი, რომელმაც ყოფილი სიცოცხლის ფასად სტენიური უბედურების დღეებში 28 დაზარალებული კოლხი გადაარჩინა. უდიდესი კეთილშობილება გამოავლინა ყველა იმან, ვინც ამ ძნელბედობის დროს ძმური დახმარების ხელი გამოგვიწოდა. ასეთი რამ დავიწყებას არ ეძლევა.

მაშ, მოდით, აღვზარდოთ, ჩამოგაყალიბოთ პატიოსანი, კეთილშობილი, წესიერი მოქალაქეები, ისეთები, რომლებსაც უფლება აქვთ „პირდაპირ შეხედონ თვალებში ადამიანებს, თამამად ჩამოართვან ხელი მეგობარს, ამხანაგს.

ერთხელ როგორღაც ვთქვით, სიტყვებს წესრიგსა და წესიერებას ერთი ძირი აქვსო. ეს მართლაც ასეა, წესრიგს უწინარეს ყოვლისა, წესიერი ადამიანები იცავენ.

ერთი და იგივე აზრია ისეთ ცნებებშიც, როგორიცაა უწესრიგობა, უყაირათობა, უპასუხისმგებლობა და უზნეობა. და ყველა ამ ანომალიას ყველაზე გადამწყვეტი, ყველაზე დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. უყაირათო მეურნეობრობა ჩვენ დროში უზნეობაა.

კომუნისტის ვალია ყველგან და ყველაფერში იქცეოდეს პარტიული სინდისით, ახსოვდეს, რომ ჩვენი მოქმედებით, ჩვენი საქციელით მსჯელობს ხალხი პარტიაზე, რომ ჩვენს პირად საქციელზე, ჩვენი პირადი ცხოვრების წესზე ბევრად არის დამოკიდებული, თუ როგორ წარმოჩენდება განახლების პროცესი, როგორ განხორციელდება გარდაქმნა.

ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. ასე უნდა ვმოქმედებდეთ ყოველთვის. ამას გვავალებულებს დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელი, რომელმაც თან მოიტანა ყველაზე სანუკვარი მიზნის განხორციელება, ოდესმე რომ თავის წინაშე დაუსახავს კაცობრიობას, — ქვეყნად სოციალური სამართლიანობის საზოგადოების შექმნა. სამართლიანობის იდეას ვ. ი. ლენინი უწოდებდა დიად იდეას, რომელიც მთელ მსოფლიოში ამოძრავებს შრომელთა უდიდეს მასებს.

დაე, ამ იდეამ მამოძრავებელი ძალა მიანიჭოს საქართველოს კომუნისტებს, რესპუბლიკის შრომელებს, მთელ ჩვენს ხალხს!

ოქტომბრის დღესასწაულობათა ამ დღეებში ვლაპარაკობთ მემკვიდრეობითობაზე, განსაკუთრებით თაობათა მემკვიდრეობითობაზე, იმის საჭიროებაზე, რომ შევახმოთ მუშაობაში მემკვიდრეობითობა და ნოვატორობა, ტრადიციები და ახალი მიდგომების შემოქმედებითი ძიება.

დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, სიამაყით, დიდი მოწიწებით ვიხსენებთ უფროსი თაობის მებრძოლთ იმათ, ვინც სამოცდაათი წლის წინათ აიფრიალა სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი დროშა, სოციალიზმისათვის, თავისუფლებისა და თანასწორობისათვის, სოციალური სამართლიანობისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის ბრძოლის დროშა. განსაკუთრებით მადლიერი ვართ იმისათვის, რომ ისინი შეეცადნენ გადმოეცთ ჩვენთვის, მომდევნო თაობებისათვის თავიანთი საუკეთესო სულიერი თვისებები, თავიანთი რევოლუციური მისწრაფება, თავიანთი სულის სიმტკიცე და უდრეკობა ყოველი განსაცდელისა და ყოველი სიძნელის ჟამს, თავიანთი ფოლადისებრი ნება დასახული მიზნების მიღწევაში, თავიანთი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი თავიანთი პატიოსანი და სპეტაკი პარტიელის სახე, იმის უნარი, რომ დაეცვათ თავიანთი ღირსება და თავიანთი სახელი.

მაშ, მოდით, ჩვენც ისე ვიცხოვროთ, რომ ჩვენც გვქონდეს გადასაცემი მომავალი თაობებისათვის, რომ ჩვენც თქვენთან ერთად გვიგონებდეს ახალგაზრდობა, რომ ვიყოთ მათთვის ღირსეული მაგალითი, მისაბაძი მაგალითი.

დაე, ჩვენზე კეთილი სიტყვა თქვან იმათ, ვინც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 100 წლისთავს იდღესასწაულებს. ამისათვის კი ჩვენს ცვლის მემკვიდრეობად უნდა დავუტოვოთ საზოგადოება, სადაც მშრომელი მასების სოციალური აქტიურობა ორგანულად იქნება შეხამებული მათ უზრუნველყოფილ სოციალურ დაცულობასთან და სოციალური სამართლიანობის პრინციპების უმკაცრეს დაცვასთან.

სოციალური სამართლიანობისათვის, მისი სოციალისტური შინაარსისათვის უნდა იბრძოლონ ჩვენი დროის ადამიანებმა, იბრძოლონ ყველამ ერთად, ერთობლივი მეცადინეობით, როგორც ეკუთვნის, ქუდზე კაცი გამოდიოდეს!

პარტია დაბეჯითებით მოგვაგონებს, რომ ყველა ცვლილების გადამწყვეტი ფაქტორია ადამიანის ფაქტორი.

მაგრამ ადამიანის ფაქტორის გააქტიურება მარტო იმის მიღწევას როდი ნიშნავს, რომ თითოეული თავის სამუშაო ადგილას შრომობდეს პატიოსნად და კეთილსინდისიერად, შედეგიანად, ძალ-ღონის დაუზოგავად.

ადამიანის ფაქტორის გააქტიურება ნიშნავს ამავე დროს ყოველნაირად ვამდიდრებდეთ, ვვითარებდეთ ამ ფაქტორს, თავს ვუყრიდეთ მასში საუკეთესო სულიერ ძალებს. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს ვაყალიბებდეთ კეთილ, პატივისმცემლურ დამოკიდებულებას ადამიანისა და მისი ღირსებისადმი, რაც ჩვენი სოციალისტური წყობილების უმაღლეს მორალური ღირებულებას, უმაღლეს ჰუმანისტურ არსს შეადგენს.

გარდაქმნა აქტიურად აყენებს პირველ ადგილზე ადამიანს, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. სოციალური სამართლიანობა მოითხოვს, რომ მეტ ყურადღებას ვუთმობდეთ პიროვნების ინდივიდუალური უნარის გამოვლენას, მორალურად და მატერიალურად აღვნიშნავდეთ იმათ, ვინც უკეთ და მეტს მუშაობს, სამაგალითონი ვიყოთ სხვებისთვის.

„ჩვენ გვინდა, — და ეს განსაკუთრებით აღინიშნა, — რომ ყველგან პატივს სცემდნენ თითოეულის ღირსებას, ცოდნას, შრომასა და უნარს“.

ამხანაგებო!

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი ის მწვერვალია, საიდანაც კარგად ჩანს განვლილი გზა და მკაფიოდ წარმოჩინდება მომდინარე ამოცანები. ამავე დროს ამ სიმაღლიდან მკაფიოდ იკვეთება ხვალინდელი დღე, ისახება დიდებული პერსპექტივა.

ყველას კარგად გვახსოვს: აწმყო, შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა.

ჩვენ ვამაყობთ თითოეული განვლილი დღით, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. თითოეული დღე ჩვენთვის ძვირფასია მაშინაც კი, როცა იგი უმძიმესი იყო. ყველაფერი ეს ჩვენი ისტორიის სკოლაა, ჩვენი ისტორიული გაკვეთილებია. ყველაფერი ეს გადავიტანეთ.

ჩვენ ხომ ყველანი ოქტომბრის შვილები ვართ!

პარტია დღეს მოგვაგონებს, რომ ჩვენი ისტორიის ახალმა ეტაპმა არ უნდა უარყოს ყოველივე ის, რაც ყოფილა, არ უნდა დავუშვათ იმის შეუფასებლობა, რაც გაკეთეს წინა თაობებმა, არ უნდა დავუშვათ უპატივცემულო დამოკიდებულობა ჩვენი ხალხისადმი, მისი წარსულისადმი, მისი ისტორიული ხსოვნისადმი, იმ თაობებისადმი, რომლებმაც ყველა სიძნელე, განსაცდელი და გაჭირვება გამოიარეს და ჩვენი ქვეყანა გადააქციეს პლანეტაზე მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ბურჯად, რევოლუციურ გარდაქმნათა არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს ჩვენი საზოგადოება.

და მაინც, ჯერ კიდევ არიან პოლიტიკურად და მოქალაქეობრივად უმწიფარი ადამიანები, რომლებიც დემოკრატიისა და საჯაროობის ნიღბით, გარდაქმნის შირმით დემაგოგიურად უარყოფენ სოციალიზმის მონაპოვრებს, ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა ხელისუფლების წლებში პარტიისა და ხალხის მიერ განვლილ გმირულ გზას, დამახინჯებით აშუქებენ ჩვენს სახელოვან წარსულს და ამით ბღალავენ წმინდა სიტყვას, წმინდა ცნებას — „ხსოვნას“.

ხსოვნის დღე ხომ, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება რესპუბლიკაში, უსაზღვროდ ძვირფასი გახდა თითოეული ჩვენგანისათვის.

იმათი ხსოვნისათვის პატივის მიგებას, ვინც საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიზმის გმირულ ტრადიციებს, ვინც მაღლა აღმართა ოქტომბრის დროშა, ვინც ატარა იგი ბრძოლისა და განსაცდელის წლების ქარცეცხლში, მოგვიწოდებს ჩვენი კულტურის მოღვაწეთა სტატია „შევინარჩუნოთ ეპოქების ხიდები“, რომელიც „პრავდამ“ გამოაქვეყნა.

დემოკრატიამ და საჯაროობამ უნდა განამტკიცოს სოციალიზმი, განამტკიცოს მორალი, საზოგადოების ზნეობრივი ატმოსფერო.

დემოკრატიზაციის, საჯაროობის პროცესი მოითხოვს უდიდეს სოციალურ პასუხისმგებლობას, მოითხოვს პოლიტიკურ კულტურას, დისკუსიის კულტურას, ამასთან ბოლო ინსტანციის პუშმარიტების დაუჩემებლად. და აქ ზოგიერთმა ნამდვილად თავიდან უნდა გაიაროს დემოკრატიის სკოლა, თავისებური დემოკრატიული საყოველთაო სწავლება.

ეს კი ნიშნავს აქტიურად, მიზანსწრაფულად, მტკიცედ გარდაქმნილი ფსიქოლოგიის, აზროვნების, ვამკვიდრებდეთ სოციალური ქცევის ახალ სტილსა და წესს.

დამუხრუჭების მექანიზმი, როგორც ცნობილია, თვით ადამიანშია. ასეთი მექანიზმის დაშლა ხანგრძლივი, მტკივნეული პროცესია. მაგრამ იმისათვის, რომ საბჭოთა საზოგადოებამ გაიაროს სრულყოფის მთელი გზა, საჭიროა ეს ყველაზე რადიკალური და ქმედითი საშუალება ბრძოლისა ინერციის, ზერელობის, კონსერვატიზმის წინააღმდეგ, სოციალისტური დემოკრატიის, საჯაროობის, თვითმმართველობის, ყოველივე იმის გაფართოება, რაც უზრუნველყოფს მშრომელთა, ხალხის გადამწყვეტ სიტყვას, კიდევ უფრო ზრდის ადამიანის ფაქტორს.

ფსიქოლოგიისა და აზროვნების რევოლუციური გარდაქმნა გაგრძელდება, სანამ მშრომელი ადამიანები არ იგრძნობენ და საზოგადოებაში არ იმოქმედებენ ისე, როგორც ნამდვილი ბატონ-პატრონები, ხოლო პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელი კადრები არ მიხვდებიან, რომ ისინი არიან ხალხის სამსახურში და არა პირიქით. ეს უმთავრესი საკითხია, რომლის გადაწყვეტა არსებით განელენაზე მოახდენს ადამიანის მორალზე, მის მოქალაქეობრივ პოზიციაზე.

ვ. ი. ლენინი მოგვაგონებდა: „ყოველი რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რაიმედ, თუ მას შეუძლია **თავი დაიცვას**“.

და ახლა პარტია გვაფრთხილებს: „გარდაქმნისათვის უნდა ვიბრძოლოთ, გარდაქმნა უნდა დავიცვათ. იგი უნდა დავიცვათ იმთაგან, ვინც ცდილობს დემოკრატია გადააქციოს დემაგოგიად, ხალხობა კი ანარქიულ აღვირახსნილობად, უპასუხისმგებლობად და განუკითხაობად.

ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მთელი ძალა უნდა მოვახმაროთ ფართო მასების და უწინარეს ყოვლისა ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდას იდეური სიმტკიცის, კომუნიზმის იდეალების, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი ერთგულების, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

„... საკითხი **მხლოდ** ასე დგას, — წერდა ლენინი, — ბურჟუაზიული თუ სოციალისტური იდეოლოგია, შუათანა რამ აქ არ არის... ამიტომ სოციალისტური იდეოლოგიის **ყოველგვარი** დამცირება, მისგან **ყოველგვარი ჩამოშორება** ნიშნავს იმავე დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას“.

ასე გვასწავლიდა ლენინი.

ამას მოგვაგონებს პარტია დღესაც, გარდაქმნის რევოლუციურ ეპოქაში.

მტკიცედ ვიდგეთ კომუნისტური იდეურობის, ბოლშევიკური პარტიულობის პოზიციებზე, თანამშედევრულად ვიცავდეთ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნისა და სოციალისტური განახლების იდეებს — ასე გვესმის დღეს ჩვენი ამოცანები.

70 წლის წინათ, საღამოს, რევოლუციური ჯარისკაცების წინადღეს ვ. ი. ლენინი წერდა: „გამოსვლის დაყოვნება სიკვდილს უდრის“.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წინ პარტია ამბობს: „ახლა უკვე გადაწყვეტილი საკითხების— ჩვენი პროგრამით განსაზღვრული, შემუშავებული გარდაქმნის რეალიზაციის დაყოვნება სიკვდილს უდრის“.

რაც უფრო გვშორდება ოქტომბრის გამარჯვების წელი, მით უფრო თვალსაჩინო ხდება დიდი რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა. მისი ზემოქმედებით მსოფლიო ღრმად შეიცვალა. მისი ახლანდელი სოციალურ-პოლიტიკური სახე კანონზომიერი შედეგია ისტორიული პროცესისა, რომელსაც დასაბამი დიდმა ოქტომბერმა მისცა.

მოსკოვში გამართულ საზეიმო სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა, რომელმაც თქვა, რომ რუსეთში დიდი რევოლუციის გამარჯვებამ გზა გაუკაფა პრინციპულად ახალ საერთაშორისო განვითარებას, აღნიშნა, რომ სამოქალაქო ომის უკვე პირველ წელიწად-ნახევარ-ორ წელიწადში გადაიდგა ნაბიჯი ალმოსავლეთის მთელ რიგ სახელმწიფოებთან, მათ შორის აფღანეთთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარების გზაზე.

კრემლის ყრილობათა სასახლეში თავის მკაფიო, მეტად ხატოვან გამოსვლაში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნაჯიბულამ თქვა, რომ ავღანეთის ეროვნული დამოუკიდებლობის, ჩვენი ხალხების კეთილმეზობლობის სათავეები გაწყურელად არის დაკავშირებული დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასთან.

ვსარგებლობ რა იმით, რომ ამ დარბაზში ჩვენთან ერთად ოქტომბრის სახელოვან წლისთავს აღნიშნავენ ჩვენი ავღანელი მეგობრები — ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კაპისის პროვინციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის პროვინციული კომიტეტის წევრი მოჰამად სარვარი, ნება მიბოძეთ მხურვალედ და გულითადად მივესალმო ჩვენს ძვირფას სტუმრებს, ავღანეთის იმ პროვინციის წარმომადგენლებს, რომლებთანაც საბჭოთა საქართველოს აკავშირებს მტკიცე და ურღვევი მეგობრობა და ძმობა, გვაქვს პირდაპირი საშეფო ურთიერთობა.

სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა ინტერნაციონალიტ მეომრებს შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის გულადი ჭაბუკებიც, რომლებიც ღირსეულად და მამაცურად იხდიან თავიანთ ძმურ ინტერნაციონალურ ვალს.

ისევე, როგორც თავის დროზე დიდმა ოქტომბერმა მთელ მსოფლიოში გამოიწვია მხურვალე გამოხმაურება, ახლაც მთელი მსოფლიო უდიდეს ყურადღებას იჩენს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნისადმი.

გარდაქმნის კურსი უდიდესი ინტერესით აღიქვეს სულ სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალებმა, სოციალისტური ქვეყნების მშრომელებმა, მსოფლიოს საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა. ამ კურსმა არსებითად გაზარდა ჩვენი ქვეყნის გავლენა და ავტორიტეტი. იგი ცხადყოფს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ზრახვები გულწრფელი და მშვიდობისმოყვარეულია.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გეზი მსოფლიო პოლიტიკაში თამამიმდევრულად სამშვიდობოა. საერთაშორისო პრობლემებს ვუდგებით რეალისტურად, მოქნილად, ამასთან ვხელმძღვანელობთ ახალი პოლიტიკური აზროვნებით, რის დადასტურებაა ფუნდამენტური პრინციპის — „განიარაღება განვითარებისათვის“ — რეალიზაციის გზების ძიება, რამაც უნდა შეაკავშიროს და კიდეც მეუძლია შეაკავშიროს კაცობრიობა, განამტკიცოს იმის რწმენა, რომ მშვიდობა დაძლევს ომს.

საბჭოთა ხალხის მეხსიერებიდან არასდროს არ წაიშლება დიდი სამამული ომი, რომელშიც ქვეყანამ 20 მილიონი კაცი დაკარგა. მხარდამხარ, ერთ მწყობრში, ერთ რიგებში ყველა მომმე ხალხთან ერთად დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად აღდგნენ ჩვენი რესპუბლიკის შვილები. საქართველომ სამშობლოს მისცა 165 საბჭოთა კავშირის გმირი. ფრონტებზე გმირულად დაიღუპა საქართველოს 300 ათასი წარგზავნილნი. ჩვენ თავს ვგრძნობ იმათი ხსოვნის წინაშე, ვინც სიცოცხლე შესწირა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას, ფაშიზმისაგან მსოფლიოს ხსნას.

მშვიდობისა და მშვიდობიანი მომავლის აზრით ცხოვრობენ ქვეყნად კეთილი ნების ადამიანები, საბჭოთა პირველკლასელთან დაწყებული, რომლის პირველი გაკვეთილი ცხოვრებაში მშვიდობის გაკვეთილია, და. საერთაშორისო „მშვიდობის ტალღის“ მონაწილეებთ დამთავრებული, რომელიც ჰიროსიმიდან დაიძრა და მთელ მსოფლიოს გადაუარა.

ქვეყნად ფართოვდება და მტკიცდება მშვიდობის მომხრეთა რიგები!

თითქოს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის დღესასწაულის გაგრძელებაა, მეორე დღეა მოსკოვში მიმდინარეობს პარტიებისა და მოძრაობების წარმომადგენელთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით.

ეს შეხვედრა, უთუოდ, ახალი თავი გახდება არა მარტო მომე პარტიების, კომუნისტების, არაპარტიული სოციალისტების, სოციალ-დემოკრატების, პოლიტიკური აზრისა და მოქმედების სხვა მიმართულებათა წარმომადგენლების, ყველა იმათი მჭიდრო ერთობლივ თანამშრომლობაში, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანის სულის მონაპოვრება, ვისაც სურს შეინარჩუნოს და გამოიყენოს ისინი მომავალი თაობებისათვის.

როგორც მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, ეს მუშაობა საარსებოდ მნიშვნელოვანია ახალი ვითარების გასაგებად, როცა ცივილიზაციის განახლება დაუკავშირდა კაცთა მოდგმის გადარჩენის ამოცანას.

როგორი იქნება მთელი მსოფლიო, და იქნება თუ არა იგი საერთოდ? — აი, რა უნდა აღელვებდეს ახლა ყველაზე მეტად კაცობრიობას.

ახლაც, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო განვითარებაზე მთავარ ზეგავლენას ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ... პოლიტიკა ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა.

მიმდინარე ეტაპზე პარტიის მიერ დასახული ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია თითოეულის მეცადინეობაზე, საქმისადმი პირად მიდგომაზე, რადგან გარდაქმნა ყველას და თითოეულის საქმეა.

და ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მმართავს საბჭოთა კავშირის მშრომელებს, მოუწოდებს შემოქმედებითად განახორციელონ გარდაქმნის რევოლუციური საქმე, შეუპოვარი შრომით განამტკიცონ სამშობლოს ძლიერება. თავისუფალ ქვეყანაში თავისუფალი ადამიანის თავისუფალი შრომა ხომ სოციალიზმის ყველაზე მძლავრი აღმშენებლობითი ძალაა.

გარდაქმნის ენერგია მოახმაროს სოციალიზმის საქმეს — აი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მოწოდება!

ასე მოქმედებას გვავალებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ზრუნვა საქართველოს სსრ ეკონომიკის აღმავლობისათვის, მისი კულტურის განვითარებისათვის, რაც ისახა საქართველოს შესახებ უკანასკნელ ხანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებით, რომლებიც ეხება სულ სხვადასხვა ღონისძიებას. იქნება ეს ობილისის შემდგომი კეთილმოწყობა თუ სტიქიური უბედურების მედეგების დაძლევა.

ასეთი ზრუნვა, ასეთი ყურადღება, ასეთი დამოკიდებულება შეუპოვარი და თავდადებული შრომისათვის მოგვიწოდებს.

ამას მოვუწოდებთ დღეს ჩვენს მუშათა კლასს, რომელიც გარდაქმნის ავანგარდშია, გამდიდრდეთ მიაბიჯეს განახლების გზით, გარდაქმნას მუხტავს მაღალი ძაბვის ენერგიით.

იმედი გვაქვს, დარწმუნებული ვართ, რომ მრეწველობის მშრომელები ღირსეულ მაგალითს გვიჩვენებენ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, პროდუქციის ჩინებული ხარისხისათვის, საბჭოთა მარკის ღირებისათვის ბრძოლაში, აქტიურად დანერგავენ ახალ, პროგრესულ ტექნიკას, მიაღწევენ მის ეფექტიან გამოყენებას, იმუშავებენ დაჩქარების რიტმით.

დღეს მოვუწოდებთ აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებს მტკიცედ იბრძოლონ სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის, აითვისონ ინტენსიური ტექნოლოგიები, სამეურნეო ანგარიში, გაავრცელონ კოლექტიური და ოჯახური იჯარა, ენერგიულად გადაწყვეტონ სოფლის სოციალური პრობლემები.

პატივი და დიდება წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს!

მოვუწოდებთ ჩვენს ინტელიგენციას — სამეცნიერო, ტექნიკურ, შემოქმედ ინტელიგენციას— მთელი მეცადინეობა მოიახმაროს ძირეული სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრას, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას, უმაღლეს მსოფლიო დონეზე საბჭოური წარმოების აყვანას; შექმენთ რევოლუციური ცვლილებების, გარდაქმნის პათოსის შესაფერი ნაწარმოებები! აქტიურად შეუწყეთ ხელი საზოგადოების სულიერ გამდიდრებას!

მივმართავთ ჩვენს ქალებს — გარდაქმნის აქტიურ მონაწილეებს, დაუცხრომელ მშრომელებს, ახალგაზრდა ცვლის მზრუნველ აღმზრდელებს. ქალთა სოციალური და სულიერი განთავისუფლება დიდი ოქტომბრის მონაპოვარია. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ მხოლოდ ქალთა დახმარებით, მისი საზრიანობითა და შეგნებით შეიძლება განმტკიცდეს ახალი საზოგადოების მშენებლობა.

დღეს მივმართავთ მამაც მეომრებს — ამოერკვაკასიის წოთელ-დრონოვანი სამხედრო და ამოერკვაკასიის წითელდროშოვანი საბჭოთა არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც საიმედოდ იცავენ სამშობლოს სამხრეთ საზღვრებს, ჩვენი ხალხის მშვიდობიან, აღმშენებლობითს შრომას, დასახმარებლად ყმთა მუდმივი მზადყოფნისათვის მაღლიერების ღრმა და გულწრფელი გრძნობით, მხარი რომ დაგვიჭირეს სტიქიურ უბედურებათა ძმის საათებში.

ამიერკავკასიის ოლქის ჯარები კავკასიის წოთელდრონოვანი გმირული ეთერთრმტე არმიის ღირსეული მემკვიდრენი არიან, რომლის რიგებში ერთმანეთის მხარდამხარ ებრძოდნენ მტერს რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ყაბარდოელები, ინგუშები, ჩეჩნები, ლეკები, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა შვილები, ავრეთვე უნგრელები, პოლონელები, ჩეხები, ჩინელები, სხვა ეროვნებათა მებრძოლები, რომლებმაც ვკადენეს ჩვენს გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითები საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

ღრმა პატივისცემის გრძნობით მიმართავთ პარტიისა და რევოლუციის ვეტერანებს, ომისა და შრომის ვეტერანებს — საბჭოთა ადამიანების იმ თაობის წარმომადგენლებს, რომელმაც მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი რევოლუცია, შინაური და გარეშე მტრებთან სასტიკ ბრძოლებში დაიცვა ოქტომბრის მონაპოვრები, პირველი, უძნელესი ნაბიჯები გადადგა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

დღეს, ჩვენს საზეიმო სხდომამდე, შეხვედრა გვქონდა პარტიის ვეტერანებთან, საბჭოების ხელისუფლებისათვის აქტიურ მებრძოლებთან, სადაც ნათა გადაეცათ სიკვდილ-ცხოვრების ოქტომბრის ოთხმოცდაათ წლისთავისადმი ერთგულებისა და ერთგულ-ერთგული ეროვნული ეკონომიკის ინტენსიურ ტექნოლოგიებზე,

ოქტომბრის კურსით—გარდაქმნის კურსით

(დასასრული)

რომლებიც ახლა გამოვლენილია და მათ პრინციპული შეფასება მიეცა.

მეცნიერების მიღწევები, მისი შედეგების მაქსიმალური გამოყენება ყველა ჩვენი შემდგომი წარმატების აუცილებელი პირობაა, ამიტომ გარდაქმნა, რომელიც ყველგან იკრებს ტემპს, უწინარეს ყოვლისა, ეზება მეცნიერებას.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის კაბისის პროვინციული კომიტეტის წევრმა **მოჰამად სარვარმა.**

— ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის პროვინციული კომიტეტი, სახალხო წარმომადგენელთა საბჭო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პროვინციის მთელი მშრომელი ხალხი, — თქვა მან, — დიდი სიხარულით დაჯილდოდა ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და დიდ საბჭოთა კავშირს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯს, კეთილშობილ და ინტერნაციონალურ საბჭოთა ხალხს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის გამო, რომელმაც გზა გაუხსნა ისოფლიოში ახალ სოციალისტურ და სახალხო-დემოკრატიულ რევოლუციებს.

ავღანეთის ამაყი და თავისუფლებისმოყვარე ხალხი მეგობარ და მოძმე საბჭოთა ხალხს უსურვებს წარმატებებს კომუნისტიკური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, გარდაქმნისა და განახლების განხორციელებაში, მშვიდობის უზრუნველყოფასა და განმტკიცებაში, რეგიონსა და მსოფლიოში განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების მიღწევაში, ავღანეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში.

«ამჟამად ჩვენი თავისუფალი და ძველი ქვეყნის სახელმწიფო და ხალხი ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით ახორციელებენ ეროვნული შერიგების ჰუმანურ კურსს. მისი განხორციელების დროს ეგრძნობთ თქვენი რესპუბლიკის ხალხს, პარტიისა და მთავრობის, ხელმძღვანელობის უშუალო ყურადღებას, ინტერნაციონალურ, სამეცნიერო, ტექნიკურ და სოციალურ დახმარებას, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ.

თქვენ ოქტომბრის საქმის გამგრძელებლები ხართ, უშუალო და უანგარო დახმარებას გვიწევთ ეროვნული შერიგების პროცესის დაჩქარების, სისტემისღვრის მეწყვეტისა და ჩვენი პროვინციის ცხოვრების განახლების საქმეში.

მომავ რესპუბლიკის თითოეულ ეცხოვრებს, დიადი საბჭოეთის მთელ ხალხს ვუსურვებთ დიდ წარმატებებს, მოწმენდილ და მშვიდობიან ცას.

დაე, ჩვენი შვილები ცხოვრობდნენ უბრთვულიარაღო მსოფლიოში, რომელშიც არ იქნება გამაჩანაგებელი ომები.

დაე, დიდი ოქტომბერი მარად იყოს მსოფლიოს მშრომელთა ნათელი და ბედნიერი ცხოვრების შუქურა და მთელი მსოფლიოს ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის შთამაგონებელი მაგალითი, საყოველთაო დღესასწაული.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს!

დაე, მარადიული იყოს რევოლუციური ავღანეთისა და დიდი საბჭოთა კავშირის პარტიებს, საბჭოთა ხალხებს ბედნიერებისა და ხალხების უერთგვეგი მეგობრობა.

დაე, ფართოვდებოდეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის პროვინციული პარტიული კომიტეტის, აღმასკომისა და მადლიერი ხალხის პირდაპირი მეგობრული ურთიერთობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან და საბჭოთა კავშირის ხალხთან.

— სამოცდაათი წელი გვაშორებს იმ ისტორიულ დღეებს, როცა პროლეტარიატმა „ავრორას““ სიგნალით გამარჯვებით დაადგურგვინა ბრძოლა სოციალური ჩაგვრისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და კაცობრიობის ისტორიაში პირველად აიღო ძალაუფლება თავის ხელში, თქვა ქედის რაიონის სოფელ ცხმორისის კოლმეურნეობის მეთამბაქოემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ნ. მ. ლოლობერიძემ.**—ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს 70 წლის რევოლუციურ ისტორიას ორგანულად დაუკავშირდა საქართველოს ბედიც. იგი სამუდამოდ განთავისუფლდა არა მარტო ფიზიკური განადგურებისა და სულიერი გადაგვარების შიშისაგან, არამედ მიიღო ეკონომიკური, კულტურული პროგრესის არნახული შესაძლებლობანი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ახლა ქართველი ხალხის, მისი დიდი შვილების ოცნება. თავისუფლად ამოისუნთქა აჭარამ—საქართველოს განუყოფელმა ნაწილმა, რომელსაც წოლად ხვდა ძმის განსაცდელი. ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური დახმარებით მან განვლო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების არნახული გზა. ჩემი აჭარა დღეს ოქტომბრის მონაპოვრების ბრწყინვალე მაგალითია.

მაგრამ ამ სადღესასწაულო დღეებშიც არ გვავიწყდება ჩვენი საზრუნავი, შეცდომები, რომლებმაც შეაფერხა ძლევამოსილი წინსვლა.

ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები — მისი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის კურსს, გარდაქმნისა და განახლების კურსს, ადამიანისათვის ზრუნვის კურსს, რომელიც იწყება თითოეულ სამუშაო ადგილას და ეზება უკლებლივ ყველას — ხუმასაც, კოლმეურნესაც, რაიკომის მდივანსაც, მინისტრსაც.

ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა სახელით • პირობას გაძლევთ, რომ ძალ-ღონესა და ენერგიას არ დავიშურებთ სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად, ოქტომბრის მონაპოვრების განსამტკიცებლად.

გამოდის ცხინვალის „ჭინანქარსაღენის“ ქარხნის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ნ. ა. ქელეხსაევა:**

ადამიანის ცხოვრებაში 70 წელი სოლიდური ასაკია, ქვეყნისათვის კი მხოლოდ ჩამოყალიბების ასაკია. აი, ახლაც კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა გრანდიოზული გარდაქმნის პროგრამა, რომელიც თავისი ხასიათით 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციურ მოვლენათა ლოგიკური გაგრძელებაა.

მთელ საბჭოეთთან ერთად სამხრეთ ოსეთის მშრომელები მტკიცედ მიაბიჯებენ ოქტომბრის ნათელ გზაზე, დამჯერებლად ადასტურებენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას მისი დიადი იდეალებისადმი.

იუბილეს რომ ვდღესასწაულობთ, მღელვარებით ვიხსენებთ სოციალისტური განვითარების საფეხურებზე აღსასვლას რუსი, ქართველი და ქვეყნის სხვა ხალხების ძმური დახმარებით სამხრეთი ოსეთი, რომელმაც განვლო საუკუნეების ტოლი შვიდი ათწლეულის გზა, მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან გადაიქცა თანამედროვე მრეწველობისა და განვითარებული სოფლის მეურნეობის, მოწინავე მეცნიერების, ხალალი კულტურის, ხალხის მზარდი კეთილდღეობის მხარედ. და ჩვენ ნიადაგ ვგრძნობთ საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვას ავტონომიური ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

მაგრამ, სათანადოდ ვიფასებთრა 70 წლის მანძილზე მიღწეულს, უფლება არა გვაქვს დავიგიწყოთ ის ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომელთა შედეგების დაძლევას ახლა ხმარდება ჩვენი მეცადინეობა. არ უნდა შეგვნელოთ სოციალური სამართლიანობისათვის, საჯაროობისა და დემოკრატიის პრინციპების, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვისათვის, დაუდეგრობისა და უყაირათობის, დემაგოგიისა და ყბედობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლა.

ტრიბუნაზეა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ჯ. ა. ჩარკვიანი:**

როცა დღევანდელ სხდომაზე გამოსვლა შემომთავაზეს, თქვა მან, მართალი გითხრათ, დავიბენი: ბევრს ვფიქრობდი რა მეთქვა, რით დამეწყო, რით დამეთავიბენა. ჩემი ასეთი დაბნეულობა, ერთი შეხედვით, დღევანდელმა საჯაროობამ და უცებ დაშეებულმა დემოკრატიამაც განაპირობა. დღეს ხომ ხშირ შემთხვევაში მეტის უფლებასაც აძლევენ საკუთარ თავს და ხანდახან სუბიექტივიზმის ქურქში გამოწყობილი ანგარიშმასწორებელი მედროვე მთელი ჩვენი ისტორიის გაქარწყლებას ლამობს.

დიდი ილიას დღეები იყო და დიდი ილიაც, რა თქმა უნდა, გამახსენდა. გამახსენდა, რომ მამათა წინაალმდეგ გალაშქრებული ღირსეული შვილი მაინც მარადის „მამათა სისხლზე“ ფიქრობდა, სამშობლოსთვის დაღვრილ სისხლზე, თავისუფლებისათვის დაღვრილ სისხლზე ფიქრობდა.

დღეს სიტყვას დიდი უფლება მიეცა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს თავნებობას, ანარქია სხვაა, თავისუფლება კიდევ სხვა...

იმაზე ვფიქრობდი, როგორ ამეგო ჩემი გამოსვლა, როცა 2 ნოემბერს კრემლის ყრილობათა სასახლეიდან გაისმა მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები: „წარსული უნდა შევაფასოთ ისტორიული პასუხისმგებლობის გრძნობით და ისტორიული სიმართლის საფუძველზე“... ეს „იმისათვის კი არ გვჭირდება, რომ ვინმეს გავუსწოროთ პოლიტიკური ანგარიში, ან, როგორც იტყვიან, გულის ჯავრი ამოვიყაროთ, არამედ იმისათვის, რომ ჯეროვანი პატივი მივაგოთ ყოველივე ჭეროიკულს, რაც წარსულში ყოფილა“. დიდებული ნათქვამია, ეს არის „მამათა სისხლის“ არდავიწყება. ამ მოხსენებით ბევრ რამეს ნათელი მოეფინა. ნათელი მოეფინა იმ გამოუსწორებელ და უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს, რომლებმაც შეიწირა უდანაშაულო ხალხი.

არავის არაფერი არ დაუვიწყეს. საშინელებას და ბოროტებას თავისი სახელი ეწოდა, სიკეთე და ერთგულება თავისი სახელით მოინათლა.

დღეს ქვეყანა ახალ გზას ადგას. ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ დავიწმუნდით, რომ რევოლუცია გრძელდება, რომ საჭიროა მეტი სოციალიზმი, მეტი სიყვარული, მეტი გარდაქმნა.

— სამოცდაათი წლის წინათ დაიწყო რთული, ბრძოლით აღსავსე გამარჯვებათა ეპოქა, რომლის შემოქმედთა შორის იყო ახალგაზრდობაც, — თქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა **ნინო ხაჩიძემ.** ყველა თაობა ხომ თავის დროზე ახალგაზრდაა. ახალგაზრდები იყვნენ ბორის ძნელაძე და მირზა გელოვანი, ზოია რუხაძე და ზოია კოსმოდემიანსკაია, შოთა გამცემლიძე და რაჩაბ მამედოვი. ახალგაზრდები არიან მებრძოლებიც, რომლებიც დღეს ინტერნაციონალურ ვალს იხდიან ავღანეთში. უწყვეტია თაობათა ეს შემკვიდრეობითობა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს წინსვლას.

რევოლუცია მოხდა, რევოლუცია გრძელდება. ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, რომ ვართ დიდი მოვლენების მონაწილე. ახლა იმედით შევცქერით მომავალს და ყველგან გაჩაღებული გარდაქმნა მიგვაჩნია იმის მტკიცე საფუძვლად, რომ ჩვენი საზოგადოების ძლევამოსილი განვითარების პროცესი შეუქცევადი გახდა. და თუ ჩვენ, ახალგაზრდებს, გვსურს კვლავაც ვიყოთ ნამდვილად ერთგულნი რევოლუციის ჯარისკაცთა საქმეებისა და იდეალებისა, უნდა დავდგეთ იქ, სადაც ყველაზე მეტად არის ეს საჭირო. უნდა გავზარდოთ ჩვენი საზოგადოებრივი და შრომითი აქტიურობა, აღვკვეთოთ სხვისი მოიმედეობის განწყობილება, შეურიგებლად ვებრძოლოთ ნარკომანიასა და ცხოვრების სხვა მხარეებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ახასიათებს ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს. და ამას მხოლოდ მაშინ შეეძლებთ, როცა მთელ ჩვენს ენერგიას მოვახმართ კონკრეტულ საქმეებს, ვისწავლით გონივრულად გამოვიყენოთ დემოკრატიზაციით მოხილებული უფლებები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს, რევოლუციის, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებს მხურვალედ მიესალმნენ ამიერკავკასიის წიგნიერდრომოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების მეომრები, რომლებიც ფიზიკურად დგანან სოციალისტური სამშობლოს სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე. მათ გულითადად მიეულოცეს შეკრებილთ დღესასწაული, აღუთქვეს, რომ დიდი ოქტომბრის მონაპოვრებს, საიმედოდ იცავენ, რომ ამიერკავკასიელი მეომრები მზად არიან ბოლომდე მოიბადონ თავიანთი სამპატიო პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დარბაზში შემოდიან ახალგაზრდობისა და პიონერების წარმომადგენლები. რესპუბლიკის ახალგაზრდობა დებს ოქტომბრის იდეალებისადმი, პარტიისა და ხალხის საწილოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი ერთგულების ფიცს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. დარბაზის თაღებს ქვეშ ეღერს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

შემდეგ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით.

* * *

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობისაა, გვირგვინებით შეამკეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ძეგლი.

(საქინფორმი).

აჭარის ტელევიზია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა ისტორიაში კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი ჩაიწერა — 1987 წლის 4 ნოემბერს დაიწყო ადგილობრივი სატელევიზიო გადაცემა. ეს თარიღი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ იგი დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს დაემთხვა.

ამ ღირსსახსოვარ მოვლენას წინ უსწრებდა დიდი სამუშაობი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 9 მარტს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოკომიტეტმა, ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყველაფერი იღონეს, რათა შესრულებულიყო ორგანიზაციული და ტექნიკური სამუშაოები.

აჭარაში ადგილობრივი სატელევიზიო გადაცემების დაწყებას მიეძღვნა საზეიმო შეკრება, რომელიც გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ემიროიძემ. შეკრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. დარასელი, აჭარის ასსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ბოლქვაძე და სხვები.

...ინთო ცისფერი ეკრანი, პირველი გადაცემის ავტორმა, ჟურნალისტმა ა. ზამბახიძემ ტელემაყურებლებს მიულოცა ღირსსახსოვარი დღე. ამიერიდან კვირაში ორჯერ — სამშაბათს და პარასკევს მოეწყობა 45-წუთიანი გადაცემა საღამოს საათებში.

წარმატებები ვუსურვოთ აჭარის ტელეჟურნალისტებს რთულ და საინტერესო საქმიანობაში!

დარბაზობა ბათუმში

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურმა აგენტმა ბათუმში პ. ა. ვიგონინმ გამართა დარბაზობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით.

დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, თურქეთის გენერალური საკონსულოს წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

დღითი დღე მხრებს შლის და ლამაზდება მეტალურგთა ქალაქი რუსთავი. შენდება ახალი მიკრორაიონი, რომელიც მალე ქალაქის ორგანული ნაწილი გახდება. ოქტომბრის საიუბილეოდ მშენებლებმა პირველი მრავალსართულიანი სახლი საექსპლოატაციოდ გადასცეს მშრომელებს და სახელმწიფო კომისიამაც შენობა

ფრიადი შეფასებით

მიიღო. მიკრორაიონში ათი ათასამდე კაცი იცხოვრებს და იგი ყველაზე დიდი დასახლება იქნება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ყოველ საცხოვრებელ უბანს ექნება სკოლა, სბავშვო ბაღი, სავაჭრო ცენტრი და სხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

როგორც კინოსტუდია „ქართული ფილმიდან“ გვატყობინებენ, მხოფლიოში ცნობილ კინოფირმა „აქენონს“ (აშშ) რეჟისორ თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“ ყველა კონტინენტის ეკრანებზე ჩვენების უფლებით შეუსყიდია, რაც

უპრეცედენტო შემთხვევა

გახლავთ ქართული კინემატოგრაფის ისტორიაში.

„მონანიება“ განაგრძობს ტრაუმფულ სვლას პლანეტის ეკრანებზე, თენგიზ აბულაძე ეს-ეს არის დაბრუნდა ევროპის, ამერიკისა და სკანდინავიის ქვეყნებში გამართული დიდი ტურნედან, სადაც უჩვენებდნენ მის ფილმს. წინ ახალი შეხვედრებია, კერძოდ, ინგლისში, იტალიასა და ეგვიპტეში.

„დან ულდუზუ“ (დილის ვარსკვლავი) — ახალ ჰკვია საქართველოს მწერალთა კავშირთან შექმნილ შემოქმედებითი გაერთიანების წევრ აზერბაიჯანელ მწერალთა ნაწარმოებების კრებულს. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს

ახალი გამოცემა

მკითხველს სთავაზობს ლექსებს ლენინზე, პარტიაზე, მშვიდობაზე, ამიერკავკასიის ხალხების მეგობრობაზე, მოთხრობებს ჩვენს თანამედროვეებზე. მის ფურცლებზე დაბეჭდილია აზერბაიჯანულად თარგმნილი ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები. კარში — „საჩუქარი ბავშვებს“ და „ღიმილი“ გამოქვეყნებული საყმაწვილო ნაწარმოებები და იუმორისტული მოთხრობები. კრებულს წინ უძღვის მისი რედაქტორის, პროფესორ თეიმურაზ ჯაფარლის შესავალი სტატია.

ჟურნალი — იუბილეს

ორი გაერთიანებული — 19 და 20 — ნომერი ჟურნალ „ნიანგისა“ მთლიანად ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს. ამთავითვე ვიტყვით, რომ ჩინებულად გამოსულია. მწერლის უკვდავი ნაწარმოებები, მათში მიმობნეული უზადო სატირა და იუმორი უნაპირო ფანტაზიის სიშფალებას იძლეოდა, და მართლაც, რედაქციას, ავტორთა კოლექტივს ნიჭი და უნარი არ დაუშურებია. კარგი პლაკატი პირველ გვერდზე (ავტორი — საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ნ. მალაზონია), საერთოდ, გაფორმება, ჩვენი ცნობილი მხატვრების ზ. ლეჟავას, ჯ. ლოლუას და სხვათა კარიკატურები, ზომიერად იუმორშეზავებული მასალები ქართველი მწერლებისა თუ ფელეტონისტებისა, მიმზიდველია და საინტერესოს ხდის ჟურნალს.

უაზახეთის ქალაქ უსტ-კამენოგორსკში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ მოკავშირე რესპუბლიკების კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე საქართველოდან ხელოვნების ძეგლების გამოფენის საპატიო უფლება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ხვდა წილად.

„კოლხეთის ოქროს ციალი“

ასე უწოდეს წარსულის უნიკალური ნიმუშების ექსპოზიციას, რომელიც მუზეუმმა მოაწყო.

მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია ძველი კოლხური კულტურის ძეგლებმა — ლითონის მხატვრული დამუშავების იშვიათმა ნიმუშებმა. გამოფენაზე დიდი ადგილი დაეთმო საქართველოს ხალხურ ხელმარჯვე ოსტატთა ნამუშევრებს.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტების მასალები რუბრიკისათვის მოამზადა **გ. ნოდიამ.**

საქართველოს სტუმრები

გულთბილად მასპინძლობენ საქართველოს მშრომელები ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კაბისის პროვინციის დელეგაციას. სტუმრები ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში.

ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, საქართველოს მშრომელები. გულწრფელი სიმპათიითი ეკიდებიან ავღანელ ხალხს, მხარს უჭერენ ეროვნული შერიგების პოლიტიკას, კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლებსაც მიმართავენ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ავღანეთის გარშემო შექმნილი ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების, საბჭოთა ჯარების სამშობლოში დაბრუნების მიზნით. საქართველოსა და კაბისის პროვინციას შორის დამყარებულია პირდაპირი კონტაქტები. რამდენიმე თვის წინათ თბილისში ხელი მოაწერეს ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულებას. პირდაპირი ურთიერთობა დამყარდა აგრეთვე ცალკეული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შრომითს კოლექტივებს შორის. საქართველოს მედიცინის მუშაკები, როგორც შეფები, ეხმარებიან ავღანელ კოლეგებს კაბისის პროვინციის მცხოვრებთათვის სამედიცინო დახმარების სრულყოფის ორგანიზაციაში.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია ეწვია გორის ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანებას, რომლის წარმომადგენლები უახლოეს დროში გაემგზავრებიან კაბისის პროვინციაში, წარმოების მეთოდებს გააცნობენ გულბაზორის საფეიქრო ფაბრიკის კოლექტივს.

(საქინფორმი).

ხსოვნა

საამოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლეგენდარული „ავრორას“ ზალვამ სამყაროს აუწყა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერის დასაწყისი. და სწორედ ამ საზეიმო დღეებში საბჭოთა ადამიანები კიდევ ერთხელ მოწიწებით მოიგონებენ და პატივს მიაგებენ იმათ ნათელ ხსოვნას, ვინც არაფერი დაიშურა ნანატრი ბედნიერ ცხოვრებისათვის, არავითარ სიძნელეს არ შეეპუა და ნათელი დღევანდელობა მოგვიტანა. ეს მოწიწება განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება მანდილოსანს, რომელმაც ბოლომდე ერთგულად ზიდა რევოლუციონერის მძიმე ტვირთი.

ერთ-ერთი მათგანია 1904 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი, ამბროლაურის რაიონის სოფელ წესის მკვიდრი ლუბა ფილიპეს ასული გოცირიძე. იგი საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი იყო და უზრუნველადაც იზრდებოდა, მაგრამ დაბეჩავებული გლეხკაცის ბედი, სოციალური უსამართლობა ყმაწვილ-ქალობიდანვე უხუთავდა და უფორიაქებდა სულს.

ქუთაისის ეპარქიულ სასწავლებელში სწავლობდა, როცა 1904 წლის 3 თებერვალს საქართველოში მოსწავლე ახალგაზრდობის პირველ პოლიტიკურ დემონსტრაციაში მიიღო მონაწილეობა. ამისათვის სასწავლებლიდან „მგლის ბილეთით“ გარიცხეს. წლების შემდეგ ასე აღწერდა ამ დემონსტრაციის ამბავს ცნობილი პროფესიონალი რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე სერგო ქავთარაძე: „ჩემი ამხანაგები და მე გაკვირვებულნი და აღტაცებულნი შევაქქროდით უშიშარ და გაბედულ მოსწავლე ქალიშვილებს, არაფრად რომ არ აგდებდნენ პოლიციელთა გაფრთხილებას და მუქარას. მათ წინ მოუძღოდა ეპარქიული სასწავლებლის ფორმაში გამოწყობილი ერთი მშვენიერი გარეგნობის ქალიშვილი, იგი ამხნევებდა და არიგებდა მათ. ეს იყო ჩვენს წრეში უკვე ცნობილი ლუბა გოცირიძე“...

ლუბას სახელი მაშინ მართლაც კარგად იყო ცნობილი რევოლუციონერთა შორის. პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დავალებით მან ჩამოაყალიბა ფარული რევოლუციური ორგანიზაცია, რომელთანაც შეიქმნა მარქსისტული ლიტერატურის შემსწავლელი წრეები. ერთ-ერთ მათგანს თავად ლუბა ხელმძღვანელობდა. წრეში კითხულობდნენ მარქსის, ენგელსის, ლენინის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და ბელინსკის ნაშრომებს, ეცნობოდნენ რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლის ამბებს. შეკრული და მეგობრული იყო რევოლუციურად განწყობილი ქუთაისის ეპარქიული სასწავლებლის მოსწავლე გოგონათა ჯგუფი, რომელშიც ლუბასთან ერთად შედიოდნენ მისი და კატო, შემდეგში ცნობილი რევოლუციონერი ქალები ფაცია გალდავა, სამა დარახველიძე, ნინო დიდიძე და სხვანი, რომელთა ცხოვრებაზე წიგნები დაიწერება...

ქალი—ვაჭკაცთა ტვირთის მზიდავი

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ლ. გოცირიძე არალეგალურად ცხოვრობდა ქუთაისში და საგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდა, მონაწილეობდა წითელი რაზმების შექმნასა და შეიარაღებაში. 1905 წელს იგი კამოს რაზმში იყო და აქტიურად იბრძოდა ცარიზმის დამპყრობთა წინააღმდეგ.

საოცრად ვაჟკაცური ბუნების ქალი იყო — უშიშარი, გაბედული, რაგინდ მძიმე, გამოუვალ ხდომილებაში ჩავარდნილიყო, არ შედრკებოდა, ხიფათსა და განსაცდელს არ მოერიდებოდა. ამიტომაც სჯეროდათ მისი ამხანაგების, მისი იმედი ჰქონდათ. ლუბა მუდამ საოცრად ოსტატურად უსწლტებოდა ხელიდან ვანდარმებს, მაგრამ ამის მიუხედავად არც მას ასცილებია პატიმრობა; ექვსი თვე მეტეხის ციხეში იჯდა. ტუსაღობიდან თავის დაღწევის შემდეგაც არ შეუწყვეტია რევოლუციური მოღვაწეობა და პირნათლად ასრულებდა პარტიის დავალებებს ქუთაისსა თუ თბილისში, ბათუმსა და მოსკოვში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლუბა გოცირიძემ მოსკოვში მიიღო იურიდიული განათლება, იგი პირველი ქართველი მოსამართლე ქალი იყო, მისთვის ჩვეული სამართლიანობით, პრინციპულობითა და ობიექტურობით სჯიდა ყოველ საქმეს.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ქანცგამცლელმა არალეგალურმა მუშაობამ, რევოლუციის საქმის გამარჯვებისათვის თავდაუზოგავმა ბრძოლამ, მრავალმა განსაცდელმა და სიდუხჭირემ შეარყია ლუბას ჯანმრთელობა და იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 40 წლისა გარდაიცვალა 1928 წელს.

„ხშირად მიფიქრია, წერდა თავის მოგონებაში პროფესიონალი რევოლუციონერი ს. ქავთარაძე, რა რჯიდა ამ მშვენიერ არსებას, სიცოცხლითა და ნიჭით უნვად დაჯილდოებულს, ასეთი ძნელი და ეკლიანი გზა რომ აერჩია, როცა მას სულ ადვილად შეეძლო თავისი კერძო ცხოვრება ისედაც კარგად მოეწყო, არიდებოდა ბრძოლის მუდმივ მელესვარებას, უფსკრულის ბარზე სიარულს? ამის პასუხს იძლეოდნენ მისი დიდი, ლამაზი თვალები, რომლებშიც მუდამ კიაფობდნენ ჩაუქრობელი რევოლუციური რწმენის ნაპერწკლები“.

დიახ, რწმენა, სწორედ რევოლუციის საქმის სამართლიანობისა და გამარჯვების უდრეკი რწმენა იყო მისი ხანმოკლე გმირული ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

ნ. ჩიჩაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის დ. ურუშაძის ნახატი.

ანტირუბრიკა — ჭადრაკი

ქომაგობა—მხოლოდ რაინდული

უთვალავი გულშემატკივარი ბეკავს ფეხბურთს. კარგი თამაში დღესასწაულია მაყურებლისათვის. მაგრამ სტადიონზე მარტო ეფექტური ფინტისა და ლამაზი გოლის ხანახვად როდი დადიან, გულშემატკივრობა, უწინარესად, ქომაგობას გულისხმობს, საყვარელი გუნდის ქომაგობას.

მაგრამ ქომაგობაც არის და ქომაგობაც. გაიხსენეთ კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩთან დაკავშირებული გახმაურებული ინციდენტი. ასეთი მასშტაბისა არა, მაგრამ მსგავსი ფაქტები სხვა სტადიონებზეც მოხდა, მათ შორის თბილისის „დინამოს“ სტადიონზეც. ცსკას „გულშემატკივართა“ ხულიგნურ გამოხდომებს ვგულისხმობთ.

ცუდი მაგალითი გადამდებია. ეტყობა, ჩამოსულ „ტიფოზუებს“ ჩვენშიც გამოეჩნდნენ მიმბაძველები. ამას ადასტურებს ლანჩხუთის მაგალითი, ამასვე მოწმობს გუშინწინ თბილისის „დინამოსა“ და ბუქარესტის „ვექტორიას“ მატჩის ამბები. რა მოხდა? ისეთი არაფერი — ფეხბურთის ნორჩ ფანატიკოსთა ჯგუფმა ემოციები ვერ მოთოკა. არაფერი დაუმტვრევიათ, არავინ უცემიათ, მაგრამ ეს მამლაყინწა ბიჭები ტრიბუნაზეც და ქუჩაშიც ისე ვერ იქცეოდნენ, ნაღდ გულშემატკივარს რომ ეკადრება, მათ ალბათ, არც იციან ნაღდი ქომაგობა (ეს, რა თქმა უნდა, ჩვენისვე ბრალია), თავიანთი „პრინციპები“ აქვთ და ფეხის ხმას აყოლილნი ჩვენთვის სრულიად უცნობო ფორმით გამოხატავენ საყვარელი გუნდის ერთგულებას.

დიამეტრიულად განსხვავდებოდა გუნდის მხარდაჭერის „თბილისური ვარიანტი“ ბუქარესტში ჩასული საქართველოს სპორტსმოყვარულთა სამაგალითო ქცევიდან. ტაში, შეძახილები, სიმღერა იქავე იყო, უბად, გამამხნევებლად და, რაც მთავარია, რაინდულად. აქ კი... სტუმრად ზრდილნი ვართ, შინ კი თავს ყველაფრის უფლებას ვაძლევთ?!

— სამოცდაათი წლის წინათ დაიწყო რთული, ბრძოლით აღსავსე გამარჯვებათა ეპოქა, რომლის შემოქმედთა შორის იყო ახალგაზრდობაც, — თქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა **ნინო ხაჩიძემ.** ყველა თაობა ხომ თავის დროზე ახალგაზრდაა. ახალგაზრდები იყვნენ ბორის ძნელაძე და მირზა გელოვანი,